

თბილისის  
ვანო  
სარაჯიშვილის  
სახელობის  
სახელმწიფო  
კონსერვატორიის  
ტრადიციული  
მრავალხმიანობის  
საერთაშორისო  
ცენტრის  
ბიულეტენი

№ 10

სიახლეები

ქართული ფოლკლორული  
ანსამბლი.  
„ახალუხლები“

უცხოელები ქართული  
ფოლკლორის შესახებ.  
სილვია ბოლ-ზემპი.  
ათასწლოვანი მუსიკალური  
ტრადიცია

უცხოური მრავალხმიანობა.  
შნიძერგის (ქვემო ავსტრია)  
მრავალხმიანი სიმღერა

უცხოური ფოლკლორული  
ანსამბლი.  
„ლინდაბრუნერ დრაიგეზანგ“

ქართული მეცნიერებისა და  
კულტურის კერძი.  
შოთა რუსთაველის ქართული  
ლიტერატურის ინსტიტუტი

ქართული სიმღერის მოამაგეები.  
ნაზი მემიშიში

ქართველი ეთნომუსიკოლოგები.  
ვლადიმერ ახობაძე

საქართველოში მცხოვრებ  
ხალხთა მუსიკალური  
ფოლკლორი.  
გიქტორ დოლიძე.  
ოსური ხალხური მუსიკა

ძველი პრესის ფურცლებზე.  
გრიგოლ ჩხილვაძე.  
ჩეხი მუსიკოსი საქართველოში

ერთი სიმღერის ისტორია  
„ლილე“

**რედაქტორი:**

**მაკა სარძიანი**

**მთარგმნელი:**

**მაია კაჭკაჭიშვილი**

**კომპ. უზრუნველყოფა:**

**მაკა სარძიანი**

**თამაზ გაბისონია**

**ლევან ვეშაპიძე**

© თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული  
მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2011

eISSN 1512-228X

**ბიულეტენი გამოდის წელიწადში ორჯერ, ქართულად და ინგლისურად**

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. №8/10.  
ტელ: (+995 32) 2998953, ფაქსი: (+995 32) 2987187

ელ-ფოსტა: [polyphony@polyphony.ge](mailto:polyphony@polyphony.ge); [polyphony@conservatoire.edu.ge](mailto:polyphony@conservatoire.edu.ge);

[www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge)

## **სიახლეები**

### **საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება (იანვარი-ივნისი 2011)**

#### **კონფერენციები**

**29-30.04.2011** – თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ფაკულტეტის ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტება თეონა ლომსაძემ.

**19.05.2011** – თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა გრ. ჩხივაძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მართულების თანამშრომლებმა.

**27.05.2011** – თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კონსერვატორიის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ქართველმა და უცხოელმა სტუდენტებმა.

**2.05.2011** – ბათუმის ხელოვნების სახწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია, რომელშიც მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტებმაც მიიღეს მონაწილეობა.

#### **კონცერტები და ხალამოები**

**30.01.2011** – ანსამბლმა „იალონმა“ ჩატარდა სოლო კონცერტი თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე საკონცერტო დარბაზში, რომელზეც შესრულდა ქართული საგალობლები.

**27.02.2011** – ანსამბლმა „დიდგორმა“ ჩატარდა სოლო კონცერტი თბილისის ვ.

სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

**25.03.2011** – ანსამბლმა „რუსთავმა“ თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართა სოლო კონცერტი, რომელიც მიეძღვნა ცნობილი ქართველი მოცეკვის, ანსამბლ „რუსთავის“ ქორეოგრაფიული ხალმძღვანელის, ფრიდონ სულაბერიძის ვარსკვლავის გახსნას.

**31.03.2011** – თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმის ხელმძღვანელის – მარინა ჩიხლაძის ინიციატივით გაიმართა ცნობილი ქართველი ეთნომუსიკოლოგის ეკვენტი (კუპრი) ჭოხონელიძის ხსოვნის სადამო.

**14.05.2011** – საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა თანადგომის საქველმოქმედო ჯგუფმა გამართა ედიშერ გარაფინიძისა და ანსამბლ „მასპინძლის“ გარდაცვლილი წევრების ხსოვნის სადამო.

**20.04.2011** – ქ. რუსთავის ფოლკლორულ სკოლაში ქართულმა ანსამბლმა „თუთარჩელამ“ და გერმანულმა ანსამბლმა „Vemmes vokales“ გამართა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისადმი მიძღვნილი ქართული და გერმანული ხალხური მუსიკის კონცერტი.

**26.04.2011** – თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ქართული და გერმანული ხალხური მუსიკის კონცერტი.

**12.05.2011** – თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში ანსამბლ „თუთარჩელას“ სამმათოობამ გამართა მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორული მუსიკის კონცერტი სახელწოდებით „ალპებიდან კავკასიონამდე“.

**12.05.2011** – მ. ბერძენიშვილის კულტურულ ცენტრ „მუზაში“ ანსამბლმა „მთიებმა“ გამართა ანდრის პირველწოდებულის ხსენების დღისადმი მიძღვნილი კონცერტი.

**20.05.2011** – თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა გრ. ჩხივაძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა ანსამბლები: „ანჩისხაგორის ტაძრის გუნდი“, „კონსერვატორიის სტუდენტური ანსამბლი“, „ლაშარი“, „მზეთამზე“, „ახალუხლები“, „ბალავარი“.

**29.05.2011** – „ანჩისხატის ტაძრის გუნდმა“ გამართა სოლო საანგარიშო კონცერტი თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

**17.06.2011** – ანსამბლმა „სახიობაშ“ გამართა რიგით მეხუთე სოლო საანგარიშო კონცერტი თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

**21.06.2011** – ანსამბლმა „ბასიანმა“ გამართა კონცერტი ამერიკის იელის უნივერსიტეტის გუნდთან ერთად მცხეთის „თეატრონში“.

## გასტროლები

**23.01-7.02.2011** – ანსამბლი „რუსთავი“ მიწვეული იყო ისრაელში სოლო კონცერტების ჩასატარებლად.

**18-26.04.2011** – ანსამბლი „რუსთავი“ მიწვეული იყო იტალიაში ქართული კულტურის დღეებზე. გამართა სოლო კონცერტები რომსა და პალერმოში.

**28.04-9.05.2011** – „ანჩისხატის ტაძრის გუნდი“ მიწვეული იყო ავსტრიისა და გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში კონცერტებისა და მასტერკლასების ჩასატარებლად.

**5.05.2011** – ანსამბლი „რუსთავი“ მიწვეული იყო პოლონეთში (ქ. კრაკოვში) „ფოლკლორული მუსიკის ფესტივალზე“, სადაც სოლო კონცერტი ჩაატარა.

**18-25.05.2011** – ანსამბლი „რუსთავი“ მიწვეული იყო პოლანდიაში ქართული კულტურის დღეებზე, სადაც 3 სოლო კონცერტი ჩაატარა.

**24-27.05.2011** – ანსამბლი „ლაშარი“ მიწვეული იყო ისრაელში საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და ებრაელმა მომღერლებმა.

**28.05.2011** – გერმენიაში, ქ. დრეზდენის მართლმადიდებლურ ეკლესიაში ანსამბლმა „რუსთავი“ ჩაატარა საგალობლების კონცერტი.

**26.04-2.05.2011** – აშშ-ს რამდენიმე ქალაქში (ნიუ-იორკი, ვაშინგტონი, კოლუმბია, ფილადელფია) ჩატარდა ფესტივალი „ჩვენებურები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ტრიომ გურიიდან „შალვა ჩემო“ (გური და ტრისტან სიხარულიძეები, მერაბ კალანდაძე).

**19.05-14.06.2011** – ანსამბლი „თუთარჩელა“ მიწვეული იყო შვეიცარიისა და გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში კონცერტებისა და მასტერკლასების ჩასატარებლად.

**2-3.06.2011** – ანსამბლი „რუსთავი“ მიწვეული იყო ტაივანში, სადაც ქართული ხალხური სიმღერებით გააფორმდა ტაივანური საბალეტო სპექტაკლი „მოხეტიალე მუსიკოსები“.

## ჟქსპედიციები

**7.01.2011** – ანსამბლმა „მთიებმა“ მოაწყო საშობაო მსვლელობები რაჭასა და კახეთში ალილოს ტრადიციის აღორძინების მიზნით.

**14.01.2011** – ანსამბლი „მთიები“ იმყოფებოდა მთიან სამეგრელოში კალანდობის მივიწყებული მუსიკალური ტრადიციების აღორძინების მიზნით.

**14-19.02.2011** – თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ფაკულტეტის მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი ნინო რაზმაძე ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულებამ მიავლინა ექსპედიციაში სვანეთში – მესტია-ლენჯერი-ლატალი.

**3-11.04.2011** – თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ფაკულტეტის ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტი გიორგი კრავეიშვილი იმყოფებოდა ექსპედიციაში სარჯში, ხელვაჩაურსა და ბეთუმში ლაზეური მუსიკალური ფოლკლორის ჩასატერად.

**2-10.04.2011** – თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ფაკულტეტის ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი თეონა ლომსაძე იმყოფებოდა ექსპედიციაში ქართლში (უფლისციხე, კავთისხევი) და ზემო იმერეთში (კიცხი, იგორეთი, ოქორაწყარო, ხუნევი, ვარძია).

**25.04.-20.05.2011** – თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის სასულიერო მუსიკის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი მაგდა სუხიაშვილი და ეთნოლოგი ნინო დამბაშიძე ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრმა მიავლინა მარტვილის მხარეთმცოდნების მუზეუმში მარტვილის სამგალობლო სკოლის შესახებ მასალის მოსაპოვებლად.

**28.04.2011** – ანსამბლი „მთიები“ იმყოფებოდა ექსპედიციით ქართლში ჭონის ტრადიციის აღორძინებისა და აგრეთვე ფოლკლორული მასალის შეგროვების მიზნით.

### კომპაქტ-დისკები, მასტერკლასები, სტუდიების გახსნა და სხვა

**1.01.2011** – ანსამბლმა „მე რუსთველი“ ჩაწერა მეგრული სიმღერები მესამე CD-თვის.

**1.03.2011** – ანსამბლმა „შავნაბადამ“ გახსნა საბავშვო სტუდია.

**1.03.2011** – ანსამბლმა „სახიობამ“ გამოსცა სიმღერების და საგალობლების 2 CD.

**14 -24.01.2011** – ანსამბლმა „თუთარჩელამ“ ჩაწერა სიმღერების მექქსე CD.

**20-22.04.2011** – ანსამბლმა „თუთარჩელამ“ ქ. ლუნებურგის (გერმანია) ქალთა გუნდთან „Vemmes vokales“ ერთად ქ. თბილისში მასტერკლასები ჩატარა.

### მოაზადა მაკა ხარძიანმა

**ერთი ქართული ფოლკლორული ანსამბლი**

### ახალუხლები

რუბრიკის სტუმარია გაუთა ფოლკლორული ანსამბლი „ახალუხლები“, რომელიც ხულ რამდენიმე წლის წინ შეიქმნა. გთავაზობთ ინტერვიუს ანსამბლის ხელმძღვანელთან – **ოთარ ქაპანაძესთან**, რომელიც გახლავთ ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის ხახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტი, ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის თანამშრომელი და ფოლკ რადიოს წამყვანი.

ესაუბრება **მაკა ხარძიანი**

**პ.ხ.** – მოგვიყევთ თქვენი ანსამბლის შესახებ: როდის ჩამოყალიბდა, რამდენი წევრისაგან შედგება და ა.შ.

**ო.კ.** – ანსამბლი „ახალუხლები“ ჩამოყალიბდა 2007 წლის მაისში. დებიუტი გვქონდა „არტ გენზე“ იმავე წლის ივლისში. შემადგენლობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. ამჟამად ანსამბლი 11 კაცისგან შედგება. წევრების ნაწილი პროფესიონალი მუსიკოსია, ნაწილი – მოყვარული მუსიკოსი: გიორგი ბერიკელაშვილი, ოთარ ქაპანაძე (ხელმძღვანელი), ალექო ქუჩუბიძე, შოთა ლეგაშვილი, ჯაბა სიჭინავა, ზაზა ფანჩვიძე, კოტე ჩავლეიშვილი, ლევან წიტაიშვილი, დათო ჭელიძე, ზურა ჭკუასელი, გიორგი ხუცუნიშვილი.

**პ.ხ.** – რას უკავშირდება ანსამბლის სახელწოდება „ახალუხლები“?

**ო.კ.** – ანსამბლის სახელწოდებაზე, როგორც წესი, სხვადასხვა ასოციაცია უჩნდებათ, უფრო მეტად უკავშირებენ ახალუხს. სინამდვილეში, „ახალუხლები“ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ძალიან ლამაზი ქართული სიტყვაა და ნიშნავს ახალგაზრდებს. თუკი ანსამბლი მისი წევრების ასაკში გადაბიჯებამდე იარსებებს, სახელწოდება, იმედია, მაინც არ იქნება უხერხული და მაშინაც ახალგზარდული შემართებით განვარდობთ ქართული ხალხური მუსიკის სამსახურს.

**პ.ხ.** – საქართველოში უამრავი გაუთა ანსამბლია, რაც თავისთავად ძალიან კარგია, მაგრამ საინტერესოა, რა მოტივაციით შექმნით ანსამბლი – ახალს რას სთავაზობთ შემენელს?

**ო.კ.** – პასუხი შეიძლება ბანალური იყოს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ანსამბლის შექმნის



სიყვარულმა განაპირობა. ანსამბლის წევრების თავმოყრაში ძალიან დამეხმარა ანსამბლის წევრი კოტე ჩავლეიშვილი. მოტივაციას რაც შეეხება, ცხადია, ნებისმიერი ანსამბლის შექმნის წინაპირობა და საფუძველი ხალხური მუსიკის თავისებური, განსხვავებული ხედვაა; ალბათ, ასე იყო „ახალუხლების“ შემთხვევაშიც. მთავარი ორიენტირი ტრადიციული რეპერტუარისა და, ზოგადად, ხალხური საშემსრულებლო ნორმების დაცვა იყო. თავიდანვე ვეცადეთ, შევხებოდით ისეთ კუთხეებსა და რეგიონებს, ისეთ სიმღერებს ან სიმღერის ვარიანტებს, რომლებიც ნაკლებად იყო წარმოდგენილი სხვა ანსამბლების რეპერტუარში. შეძლებისდაგვარად ვასრულებთ სიმღერებს, როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთ საქართველოს მთისა და ბარის მუსიკალური დიალექტებიდან.

**ბ.ბ.** – თქვენ, როგორც კონსერვატორიის ქართული ხალხური შემოქმედების ლაბორატორიისა და ფოლკ რადიოს თანამშრომელს, ხელი მიგინვდებათ უძველეს საარქივო ჩანაწერებზე, ალბათ სწორედ ესაა თქვენი რეპერტუარის ძირითადი წეარო.

**ო.კ.** – ჩვენი რეპერტუარის საჭმაო ნაწილი ნამდვილად ეფუძნება კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიაში დაცულ საექსპედიციო მასალას და ჩვენი ანსამბლი ამ მხრივ ნამდვილად არ არის ერთადერთი. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი ყველას, ვინც უფლებას გვაძლევს ვისარგებლოთ ამ ჩანაწერებით. უნდა გამოგიტყეთ, რომ ფოლკლორში ჩემი მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში მთავარი როლი აღნიშნულმა საექსპედიციო ჩანაწერებმა ითამაშა. ამას გარდა, ზოგიერთი ჟანრისა თუ კუთხის კონკრეტული სიმღერა მხოლოდ კონსერვატორიის ხალხური შემოქმედების ლაბორატორიაში ინახება. „ახალუხლების“ მონაწილეობდა და კვლავ აპირებს

მონაწილეობას ზემოთხსენებული ლაბორატორიის საგანძურის შემკრებთა შემოქმედებით საღამოებში და, რიგ შემთხვევებში, ამ მასალით სარგებლობას ესეც განაპირობებს. ამას გარდა, ანსამბლის რეპერტუარში შედის დიდი რაოდენობა სიმღერებისა, რომელიც ნასწავლია (შეგნებულად არ გამოვიყენებ ტერმინს „აღდგენილი“, რადგანაც ხშირად ეს სიტყვა სრულიად უმართებულოდ და შეუსაბამოდ იხმარება) სანოტო ჩანაწერებიდან, გრამფიორფიტებიდან და სხვადასხვა წყაროდან. სამწუხაროდ, არ გვაქვს სიმღერები იმ ექსპედიციებიდან, რომლებშიც თავადაც ვმონაწილეობდი და იმედია, ამ ნაკლოვანების მაღე აღმოვფეხრით. ჩემი აზრით, მთავარია როგორ გაითავისებ სიმღერას და როგორი მანერითა და ხასიათით იმღერებ, თორემ შეიძლება იშვიათი საექსპედიციო ჩანაწერიდან ნასწავლი საერთოდ დაამახინჯოს ანსამბლმა, ხოლო ძუნე სანოტო თუ უხარისხო ფონო ჩანაწერს ახალი სიცოცხლე მისცეს.

**ბ.ბ.** – მოგვიყვანით თქვენი შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ: რეპეტიციები, გასტროლები, კონცერტები, ლონისძიებები, დისკები... .

**ო.კ.** – რეპეტიციებს ვატარებთ რეგულარულად. მინდა, ვისარგებლო შემთხვევული და მადლობა გადავუხადო ფართის დათმობისათვის კონსერვატორიას, სადაც ადრე გვერნდა რეპეტიციები და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს, სადაც ამჟამად განვაგრძობთ მეცადინეობას. ისევე როგორც ნებისმიერი ანსამბლი, ვიკრიბებით, ვარჩევთ სიმღერებს, ვმსჯელობთ, ვკამათობთ, ვსწავლობთ და ვმღერით. თუმცა, აქვე უნდა ვადიარო, რომ ანსამბლი არ არის სათანადოდ ორგანიზებული (ცხადია, მთავარი „დამნაშავე“ ანსამბლის ხელმძღვანელია). ამის შედეგია ის, რომ გვაქვს საკმაოდ დიდი რეპერტუარი, მაგრამ დღემდე ვერ ჩავატარეთ სოლო კონცერტი და ჯერჯერობით ვერ დისების ჩაწერა-გამოცემა მოვახერხეთ.

შემოქმედებით ბიოგრაფიას რაც შეეხება: მონაწილეობა მიგვიღია არაერთ ფოლკლორულ დონისძიებაში, მათ შორის: „არტგენის“ ფესტივალში, თბილისში საერთაშორისო სიმპოზიუმში, ბათუმის ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის ფესტივალში, კონსერვატორიის დიდ და მცირედარბაზში მოწყობილ ფოლკლორულ საღამოებში, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ჩატარებულ დონისძიებებში. პერიოდულად გმონაწილეობთ რადიო და ტელეგადაცემებში, ვატარებთ მცირე ლექცია-კონცერტებს უცხოელი სტუმრებისთვის. 2011 წელს მოვახერხეთ წასვლა ალილოზე კახეთის სოფელ კარდვ-

## უცხოელები ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესახებ

### ათასწლოვანი მუსიკალური ტრადიცია (სვანური ფოლკლორი)

სამხრეთაღმოსავლეთ ევროპის განაპირას ქართველებს – განსაკუთრებით კი სვანებს აქვთ შესანიშნავი, მდიდარი მრავალხმიანი მუსიკა, რომელიც დასავლეთში აღრე ცნობილი არ იყო. ისევე როგორც ევროპაში, რუსეთსა და საქართველოში ფირფიტები 1907 წლიდან იძეჭდებოდა, რითაც შედგა შეუდარებელი ისტორიული დოკუმენტაცია ამ მუსიკის შესასწავლად.

სვანეთში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, ვოკალური მუსიკა აქტუალურია და კოლექტიური საქმიანობაზე მაღლა დგას. არ შეიძლება არ მოიხიბლოთ ამ პოლიფონიური მუსიკით, რომელიც განსაცვიფრებელი და ორიგინალურია მეზობელი ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი და რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთიავეთი ქვეყნები) ძველების ძირითადად მონოდიურ მუსიკასთან შედარებით.

პოლიფონიური მუსიკის ასეთი აყვავება სხვადასხვა ფაქტორებმა განაპირობა. ქრისტიანობა, რომელიც საქართველოში პირველ საუკუნეში გავრცელდა, სახელმწიფო რელიგიად მე-4 საუკუნეში გამოცხადდა. ეკლესია-მონასტრებში საპატიო ადგილი ეთმობოდა სიმღერის შესწავლას. მე-9 საუკუნეში კომპოზიტორები, თეოლოგები, პიმნოგრაფები და მგალობლები ქმნიდნენ გუნდებსა და სიმღერების კრებულებს. მე-12 საუკუნეში პიმნოგრაფმა იოანე პეტრიშვილმა განმარტა მრავალხმიანობის სამი ხმა (მზახრი, ური და ბამი), და მათი შერწყმა სამების ერთიანობას შეადარა, რითაც დაადასტურა ურთიერთობა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და მრავალხმიან ხალხურ სიმღერებს შორის.

ამჟამად სვანები უდიდეს უურადღებას უთმობენ თავისი მუსიკალური კულტურის დაცვას. ამ მუსიკით საერთაშორისო საზოგადოების დაინტერესება, სვანებს სტიმულს მატებს, დაიცვან ეს მდიდარი ხელოვნება, თუმცა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით ექსპორტისა და ტურიზმისთვის მისი გამოყენება, კომერციალიზაციის საფრთხეს შეიცავს.

ქართველი მუსიკისმცოდნები მკვეთრად მიჯნავენ საქართველოში მრავალხმიანი სიმღერის სამ ტიპს: 1. აღმოსავლეთ საქართველოს ქ.წ. ბურდონული მრავალხმიანობა, სადაც ორი ზედა ხმა გაბმული

ბანის ფონზე “დიალოგს” მართავს, 2. დასავლეთ საქართველოს ბარში გავრცელებული პოლიფონიური მრავალხმიანობა, რომელსაც ასასიათებს სამი ან ოთხი ხმის დამოუკიდებელი კონტრაპუნქტული მოძრაობა; 3. სვანეთში გავრცელებული კომპლექსური, პომორითმული მრავალხმიანობა, რომელიც ერთსა და იმავე ტექსტზე აკორდების ორგანიზებული თანამიმდევრობით, ხშირი მეტრული ცვლილებებითა და სინკოპებით ხასიათდება.

გარდა ქალების მიერ შესრულებული სამგლოვიარო სიმღერებისა, სვანური სიმღერები ჩვეულებრივ სრულდება სამ ხმაში. ადგილობრივ ტერმინოლოგიაში კარგად ჩანს ამ ხმების განლაგება. შეუძლია „მაჟოლ“ („წამყვანი“) ან „მუბნე“ („დამწყები“) არის ძირითადი ხმა, რომელიც სიმღერას წარადგენს სოლისტის მიერ შესრულებული მოკლე მელოდიური ფრაგმენტით, განსაზღვრავს სიმღერის საყრდენი ბგერის სიმაღლეს, ტემპსა და ტექსტის ინტონაციას. ამის შემდეგ ერთდროულად შემოღიან ზედა ხმა და ბანი. ბანის პარტიას ძლიერი ხმის მქონე რამდენიმე მომღერალი ასრულებს, რომლებიც ქმნიან ძლიერ პარმონიულ ფუნდამენტს. ყველაზე მაღალ ხმას ჰქიან „მჭეტებ“ ანუ „მიმყოლი“. დიდ კოლეგიალური მაგალითად სოფლის ან რეგიონის გუნდებში, შეუძლია ზედა ხმებს რამდენიმე მომღერალი ასრულებს. გუნდის ასეთი ორგანიზაცია ყველა წევრს აძლევს საშუალებას მონაწილეობა მიიღოს შესრულებაში, თუ ამის სურვილი აქვთ; ასე სრულდება მაგ.: ანტიფონური (ორი გუნდი), ორპირული (სამი სოლისტი და გუნდი) სიმღერები, აგრეთვე სამხმიანი სიმღერები ინსტრუმენტული თანხლებით და ა.შ. საქართველოს სხვა რეგიონების სიმღერებისგან განსხვავებით, სვანურ სიმღერებში შეზღუდულია ხმათა ანსამბლების მოძრაობა, რომელიც იშვიათად სცილდება ოქტავას – ბანი მოძრაობს სეკუნდასა და კვარტას შორის, მაშინ როცა ზედა ხმები სექსტას არ აჭარბებს. მელოდიკაზე მეტად მნიშვნელოვანია პარმონიული მოძრაობები.

საქართველოს სხვა კუთხების მსგავსად, სვანური სიმღერების მუსიკალური სისტემა მოღალური და არატემპერირებულია.

პარიზის ადამიანის მუზეუმის ეთნომუსიკოლოგიის განყოფილებაში უან შვარცისა და ტრან კუანგ ჰაის მიერ ჩატარებული სვანური სიმღერების აკუსტიკური ანალიზი გვიჩვენებს ნეიტრალური მელოდიური ინტერვალების არსებობას ტონის 3/4-ის სახლოვეს (ნახევარტონსა და მთელ ტონს შორის), დაახლოებით ტონის 5/4-ის სიახლოვეს (მთელ ტონსა და მცირე ტერციას შორის) და ნეიტრალური ტერციის არსებობას (მცირე და დიდ ტერ-

ციებს შორის). მეორეს მხრივ, დიდი და მცირე ტერციები იშვიათად გვხვდება. ქალთა სამგლოვიარო სიმღერებში შეიძლება მოგვესმას 1/4 ტონი. ზედა ხმებისთვის უფრო დამახასიათებელია უმნიშვნელოდ, დაახლოებით ტონით ზევით და ქვევით მერყევი ინტონაციის გაგრძელებული ნოტები. გარდა ამისა, მიიჩნევენ, რომ ამ სიმღერებში სისტემატურად და მკვეთრად გამოხატული გლისანდოები სათავეს უძველეს დროში იღებს. ბერის სიმაღლის მერყეობა ართულებს კილოების იდენტიფიცირებას და შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

სვანური სიმღერებისათვის ყველაზე დამახასიათებელი აკორდები შემდეგი ინტერვალებისგან შედგება (ათვლა ბანიდან იწყება): კვარტა კვინტასთან ერთად, ხშირად სიმღერის დასაწყისში; კვარტა (ზოგჯერ გადიდებული) სეპტიმასთან ერთად ან კვინტა სეპტიმასთან ერთად; სეკუნდა სექსტასთან ერთად. აკორდების თანამიმდევრობებს ხშირად აქვთ ერთი ან ორი საერთო ნოტი. ყველაზე დაბალ და ყველაზე მაღალ ხმებს შორის არის მრავალი, ხშირად დაახლოებით ტონით გადიდებული კვინტები. ამგვარად, სვანური სიმღერებისათვის დამახასიათებელი აკორდები არ მიეკუთვნება დასავლურ ტონალურ სისტემას.

მოდულაცია დამახასიათებელია დაბალ მეშვიდე და მეორე საფეხურებზე. ზოგი სიმღერა, რა თქმა უნდა, ეს ეხება შედარებით ახალ სიმღერებს, ტონიკა-დომინანტის ურთიერთდამოკიდებულებით ქმნის დასავლური სიტემის მომიჯნავე კილოებისკენ გადახრის შთაბეჭდილებას.

ყველა სიმღერა არ მთავრდება საწყის ტონიკაზე. ერთი ფარგლენტის დაბოლოება შესაძლოა გახდეს მეორე ფრაგმენტის დასაწყისი, ამგვარად იქმნება ჯაჭვური მოდულაცია, სადაც ტონიკა მოძრაობს სიმღერის შესრულების მანძილზე. სვანურ სიმღერებში ზედა ორი ხმის პარალელური ტერციების პასაჟების პარმონიული მოქნილობა ასევე დაკავშირებულია კილოების ცვალებადობასთან.

სვანური რეპერტუარი შედგება პომორითმული ნიმუშებისგან, რომლებიც ხშირად გაჯერებულია სინკოპებით. დამახასიათებელია მეტრის ცვალებადობაც. ყოველივე ეს საცეკვაო სიმღერების შემთხვევაში ვიზუალურად ცეკვის ჟესტიკულაციით არის გამოხატული.

სვანეთში ინსტრუმენტები გამოიყენება სიმღერის აკომანემენტისთვის, გარდა ჩანგისა (ამ საკრავს სოლო შესრულებისთვისაც ხშირად იყენებენ – რედ.). აქ ძირითადი ინსტრუმენტი არის ჭუნირი (სამსიმიანი საკრავი),

რომელსაც აწყობენ დიდი სეგუნდისა და მცირე ტერციის ინტერვალებით. ჭუნირი მიეკუთვნება ვიოლას (ალტის) ოჯახს, თავისი ბრტყელი ჯორაკით. მასზე შესაძლებელია ერთდროულად აუდერდეს სამი ბერა. ის იწყებს სიმღერას და ავსებს სტროფებს შორის პასაჟებს, აორმაგებს ვოკალური პოლიფონიის სამ ხმას და ამგვარად ამდიდრებს გუნდისა და სოლისტის ტემბრს.

სპეციფიკური მუსიკალური ნიშანთვისებების მქონე ადგილობრივი სიმღერების გარდა, სვანებს უყვართ და ხშირად ასრულებენ სხვა რეგიონების სიმღერებს, რითაც თავის რეპერტუარს ამდიდრებენ. სვანების მიერ მეგრული და კახური სიმღერის შესრულებისას აშკარად შეიმჩნევა მდიდარი ორნამენტებისა და ამ რეგიონების სიმღერებისთვის დამახასიათებელი რებატოს ნაკლებობა. თუმცა ზოგიერთმა მომღერალმა ოჯახებმა მეგრული ტრადიციისათვის დამახასიათებელი ორნამენტები თავის საკუთარ სტილთან შეაზავა.

სვანებს განსაკუთრებული ხმის ტიპი ახსიათებთ. ქართველი მუსიკოლოგები სიმღერების შესრულების სვანურ სტილს აღწერენ, როგორც მკაცრს, დიდებულსა და მონოლიტურს.

სვანურ მუსიკაზე გავლენა მოახდინა დასავლურმა მუსიკამ განსაკუთრებით 1940-იანი წლებიდან. ამ პერიოდში სვანეთში გაჩნდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფოლკლორული გუნდები. ქართული გუნდები, რომელთა რეპერტუარში არის საქართველოს სხვადასხვა კუთხეების სიმღერები, ასევე ასრულებენ ცნობილ სვანურ სიმღერებსაც. მელოდიებმა თანდათან განიცადეს მოღიყუაცია, მაგალითად შემოვიდა ტემპერირებული წყობა, აჩქარდა სიმღერების ტემპი. ზოგ მახასიათებელს (მაგალითად ბანის შემსრულებელთა რაოდენობა) ხაზი გაესვა, ზოგი – შერბილდა. მომღერლები ცდილობენ შექმნან სინქრონული ცეზურა, ისინი აკონტროლებენ დაღმავალ გლისანდოებს (განსაკუთრებით სამგლოვიარო სიმღერებში სახელწოდებით “ზარ”), სიტყვების მკაფიოდ წარმოთქმის ნიუანსებს. თანამედრივე ესთეტიკის ეს მახასიათებლები, რომლებსაც ძირითადად ურვნული გუნდები ავრცელებენ, სხვადასხვა დოზით გავლენას ახდენს სვანური გუნდების შესრულების ხარისხზე.

ხშირად ამბობენ, რომ საქართველო მდებარეობს ცივილიზაციების გზაჯვარედიზე, სადაც აღმოსავლური და დასავლური გავლენების ასიმილაციის შედეგად შეიქმნა ორიგინალური კულტურა. შეიძლება თუ არა სვანური მუსიკა, ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონების მუსიკა, განვიხილოთ ამ კუთხით? შესაძლოა, ზოგიერთი ასპექტი –

როგორიცაა გაბატონებული კილოგბი, ინტერვალების ცვალებადობადობა და 3/4 და 5/4 ტონების გამოყენება ახლოს იყოს აღმოსავლურ, განსაკუთრებით სპარსულ მუსიკასთან. ხოლო სხვა ასპექტებით, რომლებსაც სვანები და სხვა ქართველები ეროვნულად მიიჩნევენ (მაგ. პოლიფონიურობით) ენათესავებოდეს სამხრეთ ევროპის ანსამბლურ მუსიკალურ ტრადიციებს.

ისმის კითხვა: საუკუნეების განმავლობაში განცდილი მრავალრიცხოვანი გავლენების კუთხით შესაძლებელია თუ არა საუბარი ჭეშმარიტ სვანურ მუსიკაზე? რა თქმა უნდა შესაძლებელია, მით უმეტეს, ვოკალური ტექნიკის მთელი დიაპაზონისა და მუსიკის სოციალური გამოყენების გათვალისწინებით, რასაც, როგორც ჩანს, აქვს ღრმა საერთო ფესვები იმ ქცევებსა და მენტალურ გამოვლინებებში, რომლებშიც სვანები თავის თავს აღიარებენ.

## სილვია ბოლ-ზემპი

### პარიზის ადამიანის მუზეუმის ეთნომუსიკოლოგიური დეპარტამენტი

## უცხოური მრავალხმიანობა

### გერლინდე პაიდი

გენის მუსიკისა და საშემსრულებლო  
ხელოვნების უნივერსიტეტის ხალხური  
მუსიკის კვლევის ინსტიტუტის დირექტორი



### შნიბერგის (ქვემო ავსტრია) მრავალხმიანი სიმღერა

ავსტრიული ხალხური სიმღერების უმეტესობა მრავალხმიანია. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში მუსიკალური განათლების მქონე მოგზაურმა მწერლებმა (განსაკუთრებით ინგლისიდან) შეამჩნიეს, რომ მუსიკალური განათლების არმქონე ხალხი მელოდიას ჰარმონიულად უწყობდა მეორე ხმას. 1772 წელს ინგლისელმა მუსიკის მკვლევარმა ჩარლზ ბერნიმ ვენაში იმოგზაურა და აღნიშნა, რომ ინგლისიგან განსხვავებით, აქ გავრცელებული იყო ორხმიანი და მრავალხმიანი სიმღერა. მან ჩათვალა, რომ ამის მიზეზი იყო ყელგან გავრცელებული სასულიერო მუსიკა. დაახლოებით 100 წლის შემდეგ ავსტრო-იოლანდიელმა მწერალმა ბეილი გროვმანმა (1851-1921) თავის წიგნში “ტიროლი და ტიროლელები” (1876) რამდენიმე ასეთი სცენა აღწერა და აღნიშნა, რომ “შენთვის უცნობი სიმღერისთვის მეორე ან მესამე ხმის შეწყობა დიდი ნიჭია”. უპასუხოდ დარჩა კითხვა საიდან მოდის ეს ნიჭი და მართლა არის თუ არა ის დაკავშირებული სასულიერო მუსიკასთან ან საეკლესიო გუნდებთან. ერთი რამ ცხადია – მას არაფერი აქვს საერთო ნოტების წაკითხვასა და წამყვანი პარტიის ზეპირად სწავლასთან, ეს უფრო მუსიკალური კომუნიკაციის ფორმაა რომელსაც სჭირდება მოსმენა და რეაგირება.

მრავალხმიანი სიმღერა დღემდე არის შემორჩენილი ქვემო ავსტრიის შნიბერგის რე-

გიონში. ამ სტილს ახასიათებს მესამე ხმის შეერთება ორხმიან ჰარმონიებთან და ამგარად ტერციული სამხმიანი აკორდის შექმნა. მუსიკოლოგიურად ეს აიხსნება, როგორც “დამაბოლოვებელი/დამასრულებელი სამხმიანი სიმღერა” და გულისხმობს აკორდების დამასრულებელ პოზიციას. მრავალხმიანი სიმღერის ეს ტიპი დადასტურებულია დაახლოებით 1900-იანი წლებიდან. ამ ტრადიციამ მაშინ მიაღწია თავის პიკს, როდესაც 1930 წელს გამოქვეყნდა კრონფუსისა და პოშლის კრებული. ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ “რეგისტრის” იმ დროისათვის ნორმალური ექსპრესია: გრობ (უხეში) ნიშნავს დაბალს, ხოლო ფეინ – მაღალს. გარდა ამისა ავტორები გვაწვდიან ზოგიერთ ფრაზას რომლითაც მომდერლები ახასიათებს ბგერას (კრონფუს-პოშლი 1930, 8): *A bissl gspannt wår er* (ცოტა დაჭიმული იყო) ნიშნავს, რომ იოდელი მაღლიდან დაიწყო. *Fång än hibsch ban Bodn* (დაიწყო მაღლიან ქვემოდან) აიძულებს შემსრულებელს დაბალი ბგერიდან დაწყებას. *A bissl an Pröller håt er kriagg* (ცოტა ხმაურიანი იყო), ესე იგი ჰარმონია სუფთა არ იყო. *Wiar wånn ma an Bålsåm trinkat* (თითქოს ვიდაც ბალზამს სვამდა), ანუ ჰარმონია სუფთა იყო.

ეს სინამდვილეში ტერმინოლოგია კი არა, მეტაფორული ენაა, მომდერლები სიყვარულით საუბრობენ თუ როგორი გამოვიდა იოდელი (ანუ დუდლერი, როგორც მას შნიბერგში ეძახიან) და ნამდერი.

დღესაც შნიბერგის რეგიონში შემსრულებლობას ასეთი სახელებით მოიხსენებენ *Ansänger, Draufsänger or Drübersänger da Baß* (პიტში, 1990, 93). უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტრადიციაში ე.წ. „ბანი“ არის არა ფუნქციონალური ბანი, არამედ მესამე ხმა, რომელიც ჩვეულებრივ სხვა ხმებზე დაბლა ქღერს და კვინტის ინტერვალით მოავრდება.

ზემოთხსენებული აკადემიური გამოცემის წყალობით (1930), ეს სამხმიანი მოძრაობა გავრცელდა ბავარიისა და ავსტრიის ალპებში, სადაც დღეს ის ძირითადი სასიმღერო სტილია (დოიბ 1991). 1932 წელს წმ. იოპანის კონკურსზე პონგაუში ერთმა ბავარიულმა ჯგუფმა შეასრულა რამდენიმე შნიბერგული სიმღერა. ექსპერტების ვერდიქტი ასეთი იყო „ჩვენ მოვისმინეთ ბავარიულების მიერ საგმაოდ მიმზიდველად შესრულებული ავსტრიული სიმღერები, რომლებიც არ იყო ნასწავლი ნოტებიდან და აშკარად წარმოადგენდა მრავალხმიანი სიმღერის აღორძინების მცდელობას...“ (როტერი 1932, 114).

**ერთი უცხოური ხალხური ანსამბლი**

## **„ლინდაბრუნერ დრაიგეზანგ“ (ავსტრია)**



ანსამბლი „ლინდაბრუნერ დრაიგეზანგ“ ავსტრიული ტრიოა, რომელიც ავტრიულ ხალხურ სიმღერებს მღერის. ჩვენი რუბრიკის სტუმარია ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ელიზაბეტ ზოტლი, რომელიც მოგვითხრობს ანსამბლის, მისი წევრებისა და რეპერტუარის შესახებ.

ჯგუფის სახელწოდება „ლინდაბრუნერ დრაიგეზანგ“, რაც ნიშნავს „სამხმიან სიმღერას ლინდაბრუნიდან“, მოდის იმ ადგილის სახელიდან – ლინდაბრუნ საიდანაც ჩვენ ვართ. ეს არის პატარა სოფელი ვენის სამხრეთით ვაინერ ნეუშტადსა და ბადენს შორის. ძველად ამ რეგიონში ბევრი მომღერალი იყო. შნიბერგის მხარეში სამხმიანი სიმღერა ყველგან არის გავრცელებული, თუმცა არსებობს გარკვეული განსხვავებები სოფლებს შორის.

დაახლოებით 25 წლის წინ შემთხვევით წავაწყდი პუნქტუალური (შნიბერგის სამხრეთი) ძველი მომღერლის ზოტლ ბერტლის კრებულს, რომელშიც ბევრი სიმღერა იყო ნოტების გარეშე. თუმცა წინააღმდეგ შემთხვევაშიც კი (ნოტები რომც ყოფილიყო) ეს ჩემთვის უსარგებლო იქნებოდა, ვინაიდან ნოტებს ვერ ვაითხელობ. მაგრამ, იმ დროს უბეჭდი ვიცნობდი კურტ ლესარს, რომელიც ბავშვობიდან მღეროდა. მან იცოდა სიმღერების სამივე ხმა, ამიტომაც სადამობით, სამსახურის შემდეგ, სშირად იწვევდნენ ბარში სამღერად. ჩემი მეზობელი მანფრედ დიგრუბერი კი გიტარაზე უკრავდა და ლიდინით ამბობდა სიმღერას, თუმცა ამგკიცებდა, სიმღერა არ შემიძლიაო. ჩვენ

პერიოდულად ვიკრიბებოდით კურტ ლესართან და ბერები სიმღერაც ვისწავლეთ. დღეს მანფრედი აღიარებს, რომ ყველაზე როგორი მისთვის არის ის, რომ დამწყებია და მთავარ ხმას მდერის. ტრადიციულად, ეს კამერტონის გარეშე ხდება.

ჩვენ საერთო შეთანხმებით ვარჩევთ სიმღერებს. ვამჯობინებოთ ჩვენი რეგიონის ტრადიციულ რეპერტუარს: სიმღერებსა და ოოდლერებს (ეწ. „დუდლერებს“ – იოდლიან სიმღერებს). აკომპანიმენტისთვის არ ვიყენებოთ არც ერთ მუსიკალურ ინსტრუმენტს; ბგერის სიმღლეს და რითმს გვაძლევს დამწყები.

ავსტრიული ხალხური სიმღერების პირველი კრებული 1819 წელს ჩატერეს ამ რეგიონში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს მიერ შესრულებული ყველა სიმღერა ამ ტრადიციიდან არის. ხალხი აქ სახლდებოდა მაღაროსა და რკინიგზის მშენებლობაზე სამსახურის შოგნის იმედით და თან მოჰქონდა თავისი სიმღერები.

ჩვენს რეპერტუარში ჩანს ვენასთან სიახლოვეც. ფერმებიდან ქალაქში ხარებითა და ურმებით ხშირად მიჰქონდათ შეშა, ქვა, ხილი. სხვა საკითხია ბრუნდებოდა თუ არა ამ გზით ნაშოვნი ფული მაისებახში ან პუნქტერგში, ვინაიდან ქალაქში მეურმეებს ფულის დახარჯვის ბევრი საშუალება ჰქონდათ (მაგალითად მეძავებში). ზოგი სიმღერა სწორედ ამაზე მოგვითხრობს.

მე ყოველთვის მომწონდა მაისენბახელ მოხუც მომღერლებობა ერთად სიმღერა, იმპროვიზაციულობა და მოულოდნელობა ჩემში დიდ ემოციებს იწვევდა. ეს გამოცდილება ჩემთვის ძალიან ძვირფასია.

ჩვენს მიერ შესრულებული სიმღერები მეტწილად სახუმაროა და ცხოვრებისეულ მომენტებს ასახავს. სწორედ ამითაც არის ისინი ჩემთვის საინტერესო.

ჩვენი ვძლევით ისე, როგორც მდეროდა შნიბერგდორფლის „პიოდლებუამი“. როდესაც მე დავიბადე ისინი უკვე საკმაოდ ცნობილები იყვნენ. საბედნიეროდ არსებობს ამ ჯგუფის აუდიო ჩანაწერები. ამ სტილით მდეროდა ჯგუფი „შნიბერგბუამიც“, რომლის წევრიც მრავალი წლის მანილზე იყო კურტ ლესარი, ოჯახური წყვილი ჯული და პიტერ კაიზერები და „რუაპერლი“. ჩვენ ამ ადამიანების მიმართ დიდი მაღლიერების გრძნობა გვაქვს.

### **ჯგუფის წევრები**

**მანფრედ დიგრუბერი** დაიბადა 1953 წელს ერლაუფბოდენში (ოთშერლანდში) სადაც ბავშვობა გაატარა. მისმა სიახლოვემ მთებთან და მეგობრობამ კურტ ლესართან განაპირობა მომღერლების პერიოდული შეხვედრები პუნ-

ბერგში. ჩვენს ჯგუფში მანფრედი დამწები მომღერალია რომელიც ინტონაციას ტრადიციული წესით გვაძლევს და არა კამერტონის საშუალებით. თუ ჩვენი პირველი მომღერალი მხიარულ გუნებაზეა, ეს მთელ ჯგუფს გადაედება ხოლმე და ტონალობაც მაღლდება.

**კურტ ლესარი** დაიბადა 1941 წელს და გაიზარდა გრუნბას ამ შნიბერგში. მის ახალგაზრდობაში ლუდხანაში სიმღერა იყო ერთადერთი გასართობი მაღაროსა და ფერმაში მძიმე სამუშაო დღის შემდეგ. ცოტაოდენი ალკოჰოლი სწრაფად ქმნიდა კარგ სასიმღერო ატმოსფეროს. კურტს აქვს სიმღერის გვალა ხმის ცოდნის არაჩვეულებრივი ნიჭი, ამიტომაც მას ხშირად იწვევდნენ ნაკლელი პირველი, მეორე ან მესამე ხმის პარტიების შესასრულებლად. ადრე არ არსებობდა ფიქსირებული ჯგუფები; ადამიანები მდეროდნენ ლუდხანებში თავშეერის დროს. სამ ხმაში მდერა მნიშვნელოვანი იყო ძველადაც და დღესაც. მხოლოდ სამი შემსრულებელი მდეროდა ერთად; სხვები უსმენდნენ. ამგვარად კურტმა ადრევე შეისწავლა თავისი მშობლიური რეგიონისა და მაღაროების მიერ სხვა რეგიონებიდან მოტანილი ტრადიციული სიმღერები.

ჯგუფ „შნიბერგბუამთან“ კურტი 45 წელი მდეროდა. „ლინდაბრუნერ დრაიგეზანგში“ იგი მესამე ხმას („ბანს“) მდერის.

**ელიზაბეტ ზოტლი** დაიბადა 1956 წელს გრუნბას ამ შნიბერგში და გაიზარდა პუნქტერგ ამ შნიბერგში. ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში მოიხიბლა ლუდხანის მუსიკოსების შესრულებით. სკოლაში სწავლის დროს მოსწონდა სიმღერა, მაგრამ ხალხურ რეპერტუარს 30 წლის ასაკში გაეცნო, როდესაც იპოვა მოხუცი მომღერლის ზოტლ ბერტლის სიმღერების კრებული. კურტმა, რომელსაც შეეძლო ნოტების კითხვა, ნაბიჯ-ნაბიჯ გააცოცხლა ეს სიმღერები. სხვადასხვა მოძღვრლებისგან ელიზაბეტმა გადაიღო ემოციური შესრულების მანერა და ხმათა ჰარმონიული შეწყობის ტექნიკა.

### სიმღერების დახასიათება

ბევრი სიმღერა ზეპირი ტრადიციით გადაიცემა, ჩვენ წილად გხხვდა ძველ მოძღვრლებთან – შნიბერგდორფლელ „პიოდლბუამთან“, „პუნქტერგერ იოდლერტრიოსთან“, კაიზერების წყვილსა და მაისენბახელი „რუაპერლოთან“ სიმღერის ბედნიერება.

არსებობს ავსტრიული ხალხური სიმღერების კრებულები. მაგალითად ფრანც ზისკასა და იულიუს მაქს შოტკის რედაქ-

ტორობით 1819 წელს გამოცემული კრებული „Österreichische Volkslieder“ (ავსტრიული ხალხური სიმღერები). მის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ ავტორებმა ეს სიმღერები შნიბერგის რეგიონშიც შეაგროვეს. ისინი აღნიშნავენ, რომ „ეს არის მხიარული სიმღერები, ყველაფერში ჩანს სიცოცხლის სიყვრული და იუმორი, კარგი განწყობა, გულუბრყილობა და პაერში სიყვარული დაფრინავს“.

მეორე ცნობილი გამოცემაა კარლ კრონფუსისა და ალექსანდერ და ფელიქს პიორდების გამოცემული ე.წ. „Schneebergheftln“ (თოვლიანი მთების კრებულები). მათ მიერ დაახლოებით 1930 წელს მოპოვებული საქასპედიციო მასალა დაიბჭდა კრებულში „Niederösterreichische Volkslieder und Jodler aus dem Schneeberggebiete“ (1930), ხოლო მოგვიანებით კაიზერების წყვილის პირადი მეგობრის გეორგ კოტეკის მიერ გამოცემულ კრებულში „Volkslieder und Jodler um den Schneeberg und Semmering“ (1930). ამ რეგიონის სიმღერები და იოდლები სახელწოდებით „დუდლერი“ „ლინდაბრუნერ დრაიგეზანგის“ რეპერტუარშიცა. ჩვენ ისინი მოხუცი მომღერლებისგან ვისწავლეთ.

**ჯგუფ „ლინდაბრუნერ დრაიგეზანგ“** ტრადიციული მრავალხმიანობის V საერთაშორისო სიმღერების სტუდიარი გახდათ და შესრულების უშუალო მანერითა და ავსტრიული იოდლისათვის დამახასიათებელი ერკალური ტექნიკის უზადო ფლობით მსმენელის დიდი ოვაციები დაიმსახურა.

# ქართული კულტურისა და მეცნიერების კურები

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი

**ისტორია:** ფოლკლორის არქივის ძირითადი ბირთვი შეიქმნა 1932 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბაზაზე. 1936 წელს არქივი შეუერთდა ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების ინსტიტუტის (ელითი) შესაბამის განყოფილებას, რომლის საფუძველზეც შემდგომში ჩამოყალიბდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, რომელიც 2011 წელს შეუერთდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

არქივის დამარსებელი და პირველი ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ვახტანგ კოტეტიშვილი (1892-1938 წწ.).

**მისია:** არქივის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- კულტურული მემკვიდრეობის სავალე კვლევა;
- საარქივო მასალების ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ფოლკლორის კვლევა და ტექსტების პუბლიკაცია;
- ფოლკლორის დოკუმენტაციის საკითხების სწავლება;
- ფოლკლორის პოპულარიზაცია.

**საარქივო ფონდები:** 2007 წლის დეკემბრის მონაცემების მიხედვით არქივში რეგისტრირებულია 105 810 დოკუმენტი. ასეთად ითვლება როგორც მცირე, ისე ვრცელი ზომის ტექსტი. მიმდინარე სამუშაოების კვალდაკვალ საარქივო ფონდების შესახებ მონაცემები სისტემატიურად იცვლება.

2008-2009 წლებში ფოლლორის არქივმა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით განახორციელა პროექტი: “პეტრე უმიკაშვილის ხელნაწერთა კოლექციის (XIXს.) ელექტრონული დამუშავება”, რის შედეგადაც არქივში დაცულ დოკუმენტებს დაემატა 5994 ერთეული თანამდებობა სტანდარტების გამოყენებით დაკონსერვაციი ტექსტი.

საარქივო მასალები, მათი წარმომავლობის, ან/და არქივში მათი შემოსვლის თარიღის მიხედვით იყოფა რამდენიმე ვრცელ მასივად. ასეთია:


1. პეტრე უმიკაშვილის კოლექცია (5 994 ტექსტი) თარიღდება 1850-1910 წლებით;

2. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან არსებული ფოლკლორის სექტორისა და 1930-1959 წლებში განხორციელებული სამეცნიერო ექსპედიციების მასალები (32 986 ტექსტი), ე. წ. ადრინდელი ფონდი;

3. 1960 წლიდან დღემდე ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციების შედეგად შეკრებილი მასალები (59 087 ერთეული ტექსტი), ე. წ. ახალი ფონდი;

4. მე-20 საუკუნის 30-70-იან წლებში განხორციელებული სამივლინებო მუშაობის შედეგად შეკრებილი მასალები (13 737 ტექსტი), ე. წ. ვარდამ მაცაბერიძის სახელობის ფონდი.

ტაბულა 1. ფოლკლორის არქივში რეგისტრირებული ფონდები



გარდა ხელნაწერებისა, არქივში დაცულია აგრეთვე ქართული ფოლკლორისა და მისი კალეგის ამსახველი კინო, ფოტო და ხმოვანი მასალა.

**მასალის რეგისტრაციის წესი:** არქივში შემოსული მასალის სისტემატიზაციისა და რეგისტრაციის ერთიანი წესი შემუშავებული არ ყოფილა. ეს ნიშანავს, რომ თითოეული ხემოთ აღწერილი მასივის სარეგისტრაციოდ არქივში სხვადასხვა სახის დავთარი გამოიყენებოდა. ეს დავთრები იმდენად შორს დგას სრულყოფილებისაგან, რომ ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფს არა თუ მასალებით სარგებლობას, არამედ მათი რაოდენობის განსაზღვრასაც კი. საგულისხმოა, რომ ოფიციალურ გამოცემებში დასახელებულია არქივში დაცული მასალების საერთო რაოდენობის აღმინშვნელი ორი ციფრი, რომელთა შორის სხვაობა, არც მეტი, არც ნაკლები, ნახევარ მილიონს (!) შეადგენს.

**მონაცემთა ელექტრონული ბაზა:** ფოლკლორის არქივმა, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში, ელგუჯა დადუნაშვილის ხელმძღვანელობით, საქმიანობის

ძირითად პრიორიტეტად გაიხადა საარქივო ფოლკლორული მასალების ელექტრონული სისტემაზეაცია. საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდების და საზღვარგარეოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრების ხელშეწყობით (იხ. <http://www.folktreasury.ge/proeptebi.htm>) შესაძლებელი გახდა ელექტრონული სამიებელი სისტემის ჩამოყალიბება და მისი ინტერნეტში განთავსება.

### ტაბულა 3. მონაცემთა ბაზაში ძებნის ფორმულარი

ძებნის ფორმულარი / Suchformular

მოწვევა / Signature	შემოქმედების / Amtl. Index		
საფეხურითი მიმღები / ID-Nummer	გრძელი / Gattung (რესისტრი / beliebig)		
სახური / Titel	ფორმა / Form (რესისტრი / beliebig)		
დოკუმენტის სტრუქტურა / Versetzung			
პირის მასალები / Personen			
საკრიტიკულო მასალები / Sachen			
კორელაციის სტრუქტურა / Correlationen			
ინფორმაციის სტრუქტურა / Informationsstruktur	(რესისტრი / beliebig)	წარმომადგენლობა / Nationalität	წარმომადგენლობა / Nationalität
ინფორმაციის სტრუქტურის სახელი / Name des Informationsstruktur		სპოსის გვარი / Spitzname	სპოსის გვარი / Spitzname
გრძელისა / ასტაბული	(რესისტრი / beliebig)	საქმიანობა / Beruf	საქმიანობა / Beruf
საქმიანობის გვარი / Geschlecht	(რესისტრი / beliebig)	ასაკი / Alter	ასაკი / Alter
გრძელის სახელი / Geburtsort	(რესისტრი / beliebig)	სახელმწიფო კატეგორია / Wohnort	სახელმწიფო კატეგორია / Wohnort
გრძელის მასალები / Geburtsstätte		სახელმწიფო კატეგორია / Wohnort	სახელმწიფო კატეგორია / Wohnort
გრძელის მასალები / Geburtsdatum		სახელმწიფო კატეგორია / Wohnort	სახელმწიფო კატეგორია / Wohnort
საზოგადო / Aufzeichnender		წესის თარიღი / Aufzeichnungstermin	წესის თარიღი / Aufzeichnungstermin
<input type="button" value="ძებნის დაწერა / Suche starten"/>		<input type="button" value="ხელშეკრულება / Neue Suche"/>	

ბაზაში ამჟამად არსებული მონაცემების კვალობაზე ნებისმიერი მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია 29 000 ტექსტის ისეთ ძირითად მახასიათებლებზე, რომელიცაა: სათაური, ლექსის დასაწყისი სტრიქნი, პერსონალის, საგნები, და მოვლენები, გეოგრაფიული სახელები, მონაცემები მთქმელის, ჩამწერის, ჩაწერის ადგილისა და თარიღის შესახებ, ზღაპრული ტიპის საერთაშორისო ინდექსის და სხვა. გარდა ამისა, ანდაზებისა და გამოცანების შემთხვევაში, ველში – „ლექსის დასაწყისი სტრიქნი“, შეტანილია შესაბამისი უანრის ნიმუშთა სრული ტექსტები. სამიებელთან დაკავშირებულია აგრეთვე დასკანერებულ ტექსთა მონაცემთა ბაზა, რომელიც საშუალებას იძლევა, ზოგ შემთხვევაში, გაგეცნოთ აღწერილი მონაცემების მქონე შენახვის ერთეულის ფოტოსას.

ხშირ შემთხვევაში, სამიებელი ვალები შეიცავს მიების განსაზღვრულ პარამეტრებს, რომელთა არჩევაც ხდება დიალოგის რეჟიმში. თუ ასეთ ველებს არ ვირჩევთ მიებისას, მაშინ მათში ავტომატურად მიეთითება მიების პარამეტრი „ნებისმიერი“, ეს ნიშნავს, რომ ამ მახასიათებლის მიხედვით ბაზაში მიება არ განხორციელდება. მიებისას შეიძლება მითითებულ იქნას ერთი, ან რამდენიმე მახასიათებელი, მაგ., ველში „უანრი“ შესაძლებელია მივუთითოთ „ზღაპარი“ და ველში „პერსონაჟი“ ჩამწეროთ „ცხენი“. ასეთ შემთხვევაში, მიების შედეგად მივიღებთ მონაცემებს იმ

ტექსტების შესახებ, რომლებიც ერთდროულად განეკუთვნებიან ზღაპრის უანრსაც და რომლებმისამართი პერსონაჟის ცხენია წარმოდგენილი.

### ტაბულა 4. მონაცემთა ბაზაში ძებნის შედეგები

მიმღები მიმღების / Suchergebnis Nr.: 20			
მოწვევა / Signature	ს.კვდ 20, 1-1	მოწვევის მდგრადი / Amtl. Index	0
საფეხურითი მიმღების ID-Nummer	22714	დანართი / Gattung	ელექტრონული დოკუმენტი
სახური / Titel		უსამართი (რესისტრი არ მიმღები)	ფორმა / Form
დოკუმენტის სტრუქტურა / Versetzung	0	სტრუქტურა / Structure	პროცესი
პირის მასალები / Personen		სტრუქტურა / Structure	
საკრიტიკულო მასალები / Sachen	0	სტრუქტურა / Structure	
კორელაციის სტრუქტურა / Correlationen		ძებნით განსაზღვრული რაოდნი, შეღუმრების ს. ჭლა	
ინფორმაციის სტრუქტურა / Informationsstruktur		წარმომადგენლობა / Nationalität	ქართული
ინფორმაციის სტრუქტურის სახელი / Name des Informationsstruktur		საქმიანობის დაუსახურის სახისას და	საქმიანობის დაუსახური
გრძელისა / ასტაბული	(რესისტრი / beliebig)	უკანასკნელი მუსის ეტა	უკანასკნელი მუსი
საქმიანობის გვარი / Geschlecht	(რესისტრი / beliebig)	სახმიანობა / Beruf	მუსი
გრძელის სახელი / Geburtsort	(რესისტრი / beliebig)	ასაკი / Alter	101
გრძელის მასალები / Geburtsstätte		სახელმწიფო კატეგორია / Wohnort	ს. ჭლა / Atscharien
გრძელის მასალები / Geburtsdatum		სახელმწიფო კატეგორია / Wohnort	ს. ჭლა / Atscharien
საზოგადო / Aufzeichnender		სახელმწიფო კატეგორია / Wohnort	ს. ჭლა / Atscharien
ძებნის დაწერა / Suche starten		ხელშეკრულება / Neue Suche	
© First dataset (1 of 43) © Next dataset (2 of 43) © Last dataset (43 of 43) <input type="button" value="Submit"/>			

ბაზაში მოძიებული მონაცემები მონიტორზე გამოდის ანალოგიური სტრუქტურის მქონე ფანჯრების სახით, რომელთა დათვალიერებაც ხდება ერთმანეთის თანმიმდევრობით (იხ. ტაბულა 4). მონაცემების დიდი რაოდენობით არსებობის შემთხვევაში ერთ ჯერზე გამოდის რამდენიმე ათეული ფანჯრა. მომდევნო ფანჯრების დათვალიერება შესაძლებელია წარწერის „Submit“ გაძლიერებით.

მონაცემთა ბაზის ძიების ფორმულარი ხელმისაწვდომია ინტერნეტ მისამართზე:

<http://www.folktreasury.ge>

### მარინე ტურაშვილი

შოთა რუსთაველის  
ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტის მეცნიერ-  
თანამშრომელი, ფოლკლორის  
არქივის ხელმძღვანელი

## ქართული ხალხური სიმღერის მოამაგეები

### ნაზი მემიშიში



ნაზი მემიშიში მუსიკალური ხაზოგადობის მხოლოდ მცირე ნაწილი თუ იცნობს, იგი დღეს ლაზური ხალხური მუსიკის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნეა. ეს მთვ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ლაზური ხალხური სიმღერების მოპოვება ეთნოფორებისაგან თითქმის შეუძლებელია, მათი უმრავლესობა ან გამჭრალია ყოფილან, ან თურქული მუსიკის გავლენით აღარც კი იცნობა.

ცნობები ქნი ნაზის მოღვაწეობის შესახებ მოვგაწოდა კონსერვატორიის მუსიკის თეორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა **გიორგი კრავეიშვილმა**, რომელიც თავადაა დაინტერესებული ლაზური ფოლკლორის შესწავლით და არაერთხელ შეხვდა ნაზი მემიშიში.

ნაზი მემიშიში დაიბადა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში 1941 წლის 21 სექტემბერს მრავალშვილიან ოჯახში. სარფშივე დაამთავრა შვიდწლიანი სკოლა. 1970 წლს დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. დაოჯახების შემდეგ ცხოვრობს ქალაქ რუსთავში მუედლესთან და ორ შვილთან ერთად.

ქნ ნაზის მუსიკალური განათლება არსად მიუდია, თუმცა ოჯახში ხშირად ესმოდა ლაზური ხალხური სიმღერები, ბაბუა შესანიშნავდა უკრავდა პილილზე და ამგვარად, იგი პატარბიდანვე ეზიარა ლაზურ ფოლკლორს. ახალგაზრდობაში მდეროდა სოფელ სარფში მოქმედ ფოლკლორულ გუნდში. იგი დღემდე დაუზარებლად ასწავლის ლაზურ სიმღერებს ახალგაზრდებს. განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს ქალთა ანსამბლ „თუთარ-

ჩელასთან“. ლაზური ხალხური სიმღერების სწავლების იდეა ანსამბლის ხელმძღვანელს თამარ ბუაძეს თავად მიაწოდა. თამარმა ქნი ნაზის ნამღერი სიმღერების სანოტო ჩანაწერი გააკეთა და სამ ხმაში გადამუშავდა. ლაზურმა სიმღერებმა „თუთარჩელას“ რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ „თუთარჩელასგან“ შესწავლილ სიმღერებს უცხოელებიც ასრულებენ. ყოველივე ამან ქნ ნაზის უფრო მეტად გაუზარდა ლაზური ხალხური სიმღერების მოძიების, შესწავლისა და ახალგაზრდებისათვის გადაცემის სტიმული.

ნაზი მემიშიში ხალხურ ყაიდაზე ლექსებსა და სიმღერებსაც წერს. მაგალითად, დღეს ფართოდ ცნობილი სიმღერა „ელე მელე კისმეტის“ ტექსტიცა და მელოდიაც მას ეკუთვნის. ამჟამად მეორე სიმღერაზე მუშაობს.

ქნი ნაზი ხშირად მოგზაურობს აქაურ თუ თურქეთის ლაზისტანში, მოვლილი აქვს ლაზეთის თითქმის ყველა კუთხე, სწავლობს და აღწერს მათ ეთნოგრაფიულ ყოფას, ზეპირ სიტყვიერ და მუსიკალურ ფოლკლორს. თუმცა, გულდაწყვეტილი აღნიშნავს, რომ ლაზური მუსიკალური ფოლკლორის მდგომარეობა სავალალოა. ლაზებს დავიწყებული აქვთ ჩვენი მამა-პაპური ყოფა. „დღეს გაარემიქსებენ რომელიმე ლაზურ სიმღერას და ხალხურად ასაღებენ. მერე უმრავლესობას იგი ამ სახით მართლაც ხალხური ჰგონია“ – ამბობს ქნი ნაზი. „სამწუხაროდ, თურქეთის ლაზისტანში ძირითადად თურქული სიმღერებია. მართალია იქაური ლაზების უმრავლესობამ იცის, რომ ქართველია, შეძლების-დაგვარად იციან ქართულიცა და ცოტაოდენი ლაზურიც, უფრო მეტიც, მათი ნაწილი უკვე საქართველოში ქრისტიანად ინათლება, მაგრამ ლაზური ხალხური სიმღერები ძალზე ცოტას თუ ახსოვს, და იმათაც, ვისაც ახსოვს, დღემდე ეშინიათ მისი შესრულება“. ყოველივე აქედან გამომდინარე, დღეს ლაზური ხალხური მუსიკის ვითარება კრიზისულია.

ასეთ პირობებში კიდევ უფრო დასაფასებელია ქნი ნაზის მოღვაწეობა და გასაფრთხილებელია ლაზური ფოლკლორის ის ძირფასი ნიმუშები, რომლებიც მან იცის; ესენია: საქორწინო, სატრუიალო სიმღერები, საბავშვო სიმღერები და გათვლები, ნანები, ტირილები. მათ შორის ზოგიერთი ფიქსირებულია სხვადასხვა არქივებში, თუმცა, ბეგრიდი ისეთი, რომელიც თვით ქნია ნაზიმ მოიპოვა. იგი არამარტო სიმღერების შესანიშნავი მცოდნე გახლავთ, არამედ შეუძლია ეთნოგრაფიული ცნობების მოწოდებაც ყველა სიმღერასთან დაკავშირებით, რაც

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფოლკლორისტებისათვის.

რაც შექება დაზურ ინსტრუმენტულ მუსიკას, თვით ნაზი მემიშიში არცერთ საკრავს არ ფლობს, მაგრამ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ილია აბდულიშვის შესახებ, რომელიც პილიოს დამზადებისა და დაკვრის უბადლო ოსტატი იყო, უკრავდა ზურნაზეც; მისი შესრულება არაერთი ექსპედიციის დროს ჩაუწერიათ ჩვენს ეთნომუსიკოლოგებს. სამწუხაროდ, ილია აბდულიშვი სულ ახლახანს, 88 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სახელით ქან ნაზის დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებას კუსურვებთ ლაზური სიძლერის მოპოვებისა და შესწავლის ძეგლად საჭირო საქმეში.

ქართული ეთნომუსიკოლოგები

ვლადიმერ ახობაძე

(1918-1971)



ვლადიმერ ახობაძე ქართული ეთნომუსიკოლოგიური სკოლის ერთ-ერთი დვაწყლმოსილი წარმომადგენელია, რომლისთვისაც ქართული ხალხური სიმღერა ცხოვრების აზრი და ძირითადი საზრუნვავი იყო. როგორც პროფესიონალი მუსიკოს-თეორეტიკოსი და მეცნიერ-პრაქტიკოსი, იგი წარმატებით უთავსებდა ერთმანეთს საგანმანათლებლო მუშაობას და საველე-შემკრებლობით საქმიანობას. მისი თეორიული ნააზრევიც ძირითადად საკუთარ ექსპედიციებში მოპოვებულ მასალებზე იყო დაფუძნებული.

ვლადიმერ ახობაძის, როგორც მკვლევრის თვალთახედვა ქართული მუსიკალური ფოლკლორის პრობლემატიკისაკენ იყო მიმართული. ცალკეული ქართული მუსიკალური დიალექტების (გურული, აჭარული, ქართლ-კახური, ფშავ-ხევსურული, თუშური) გარდა, იგი განსაკუთრებით იყო კონცენტრირებული აფხაზურ მუსიკალურ ფოლკლორზე. გარდა ამისა, მის ინტერესთა არეში გაერთიანდა როგორც, ზოგადად, ქართული ვოკალურ-საგუნდო მრავალხმიანი მუსიკის პრობლემატიკა, ისე ქართული ოთხსმიანობისა და ხონგურის ოთხსიმთა კავშირის საკითხებიც.

ვლ. ახობაძის მუსიკალურ-ფოლკლორისტული საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ი. ქორთუასთან ერთად აფხაზური ხალხური სიმღერების შეკრება, სისტემატიზაცია და გამოცემა. ახობაძე ქორთუას კრებული „აფხაზური სიმღერები“ მოიცავს, ერთი მხრივ, აფხაზ კომპოზიტორთა

და თანამედროვე აფხაზურ სიმღერებსა და, მეორე მხრივ – ამ კუთხის სხვადასხვა ქან-რის (ისტორიული, შრომის, სამონადირეო, საწესენერულებო, საქორწილო) სიმღერების უძველეს ნიმუშებს. განსაკუთრებით ფასეულია ის ცნობები, რომელსაც ავტორები ზოგადად, აფხაზი ხალხის, მათი ხასიათის, ტრადიციების, ისტორიის, მუსიკალური ფოლკლორის შესახებ გვაწვდიან წიგნის შესავალ ნაწილში. აფხაზური მუსიკალური ფოლკლორის მიმოხილვისას უურადღება გა-მახვილებულია კილოს, მელოდიკის, პარმონიის, კადანსებისა თავისებურებებსა და სიმღერების სტრუქტურულ მახასიათებლობაზე; ავტორთა უურადღების მიღმა არ დარჩენილა არც აფხაზური ინსტრუმენტარუმი. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა მინიშნებები მეგრული და სვანური სასიმღერო ფოლკლორის აფხაზურზე გავლენის შესახებ.

**თავისი მოცულობითა და ეთნომუსიკოლოგიური ღირებულებით საკმა-ოდ მნიშვნელოვანია „ქართული (სვანური) სიმღერების კრებული“, რომელშიც შესულია სხვადასხვა დროს ზემო თუ ქვემო სვანეთში ვლ. ახობაძის მიერ ჩაწერილი სიმღერები. (კრებული ასევე მოიცავს ქართველ კომპოზი-ტორთა მიერ ჩაწერილ რამდენიმე სვანურ სიმღერასაც). ამ კრებულსაც ახლავს ვრცელი შესავალი, რომელშიც მეცნიერ-მკვლევარი სვანურ ყოფას, სამეურნეო საქმიანობას, ხასიათს, ტრადიციებს აღწერს და სვანური მუსიკალური ფოლკლორის ძირითად კანონ-ზომიერებებს განიხილავს. მნიშვნელოვანია მსჯელობა ფერხელზე, არა, როგორც ქანოზე, არამედ, როგორც შესრულების ფორმაზე, სვანური სიმღერების სამხმიანობის თავისებუ-რებებზე, საკრავების მნიშვნელობაზე, მათ ისტორიასა და აგებულებაზე. განსაკუთ-რებულ ფერმენტად მიაჩნია ავტორს სვანური ტირილები – ქალთა ერთხმიანი „ლირეჭალ“ და მამაკაცთა სამხმიანი ზარი.**

ვლ. ახობაძის თეორიული დებულე-ბანი დიალექტოლოგიური კვლევის მიმართუ-ლებით განსაკუთრებულადაა წარმოჩენილი „ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერების კრებულის“ ვრცელ შესავალში. არაერთი ქართველი და უცხოელი მკვლევრის შეფა-სებით, ვლ. ახობაძის მიერ ჩაწერილი ოთხ-ხმიანი ნადურები მსოფლიო მუსიკალური ფოლკლორისტიკის დიდ საგანძურს წარმოადგენს. სამ და ოთხხმიან ნადურებში გამყი-ვანის, კრიმანჭულის, შემხმობარის სპეციფი-კური ფუნქციების განსაზღვრას და მათი ურთიერთდამოკიდებულების დადგენას ვლ. ახობაძე ახდენს წერილობით წყაროებში გა-ფანტული თუ სახალხო მოქმედების მონა-

ცემებისა და სასიმღერო ნაგებობათა კილო-ჰარმონიული ანალიზის შედეგად ჩამოყალი-ბებული საკუთარი მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე. გარდა ამისა, დაწვრილებით გა-ნიხილავს აჭარულ ხალხურ საკრავს ჭიბონს.

ვლ. ახობაძის შრომებს შორის, გარდა აღნიშნულ კრებულებზე თანდართული კვლე-ვითი ხასიათის შესავალი სტატიებისა, მნიშვ-ნელოვანია ასევე მეცნიერული გამოკვლევები ნადური სიმღერების შესახებ: „ქართული ხალხური შრომის სიმღერები – ნადური“; „კოლექტიური შრომის ფორმა „ნადი“ და ქართული ხალხური ოთხხმიანი სიმღერა „ნადური“. დასმული საკითხების აქტუალო-ბითა და მნიშვნელობით ვლ. ახობაძის ეს ნაშრომებში დღესაც უთნომუსიკოლოგთა ინტერესის საგანია.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვლ. ახობაძე დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშია დაკრძალული.

## თამარ მესხი ეთნომუსიკოლოგი

### ექსპედიციები

1949 – **გურია** (/მახარაძე /ოზურგეთი/;

**ქობულეთი:** ციხისძირი)

1950 – 18-29.07 (ძვ.სტ.04-15.07) – **სვანეთი**

(მესტია: კალა, ლანჩხალი)

5-9 აგვისტო – **სამეგრელო** (ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუჟ: ხაბუმე)

1956 – **აფხაზეთი** (სოხუმი) (ექსპედიციის წევრები: ხმის ჩამწ. კაბ. ოპერატორი

თენგიზ ერისთავი, სტუდენტები – ა. პუკბა, გ. კარბა, ნუნუ დუდაშვილი და დურმიშხან გოდერძიშვილი)

1957 – **ყარაჩაი-ჩერქეზეთი.**

**აბაზური**

**ნოღაური**

**ჩერქეზული**

**ყარაჩაული**

1958 – 30.07 – **აჭარა** (ქობულეთი: ლეღვა; ქედა, შეახევი; ხულო: დიდაჭარა)

**საგურამო**

**თბილისი** (ქურთული-ჩხიგვაძესთან

ერთად)

1959 – **აჭარა** (ბათუმი, ქობულეთი, ლეღვა)

1960 – **გურია** /07/ (**ლანჩხეთი:** ჩოჩხათი, სუფსა, აკეთი, ნიგვზიანი; **ჩოხატაური:**

ბუკისციხე, დიდი ვანი, განახლება;

**მახარაძე** /ოზურგეთი/: ჯუმათი,

ვაკიჯვარი, თხინვალი, ნარუჯა,

ნაგომარი, კონჭათი, მელექედური,

ჭანიეთი, ასკანა, ბახვი, შრომა,  
შემოქმედი)  
1967 – ექსპედიცია გრიგოლ ჩხიგვაძისა და  
ივებ გრიმოს ხელმძღვანელობით

**საქართველოში მცხოვრებ ხალხთა  
მუსიკალური ფოლკლორი**

**იუბილ დოლიძე**

### ნაშრომები

- „ხელი ჭიქას“ – ქართული ხალხური სიმღერა ჩაწერილი 1949 წელს. (8 გვ.) (№ 602)
- აფხაზური ხალხური სიმღერები. (1956-57). (25 გვ.) (№ 601)
- ქართული ხალხური სიმღერების კილოები. (1957-58). (28 გვ.) (№ 725)
- ოთხხმიანობა ქართულ ხალხურ სიმღერებში. (1958-59). (49 გვ.) (№ 745)
- ქართული (გურული) ნადური და ოთხხმიანი სიმღერა „შემოქმედურაი“ ჩაწერილი ახობაძის მიერ. (1959-60). (ახსნა-განმარტებითი ბარათი შალვა ასლანიშვილის რეცენზიით) (№ 854)
- ჩოხურის ოთხხმიანი კავშირი ქართულ ხალხურ ოთხხმიანობასთან. (1960-61). (15 გვ. + 9 გვ. სანოტო მაგალითები) (№ 945)
- შალვა მშველიძე – ფოლკლორისტი. (1964). (15 გვ.) (1206)
- სვანური ხალხური მრავალხმიანობის შესახებ. (1965-66). (58 გვ.) (№ 1367)
- აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის, ფშავ-ხევსურეთისა და ოუშეთის) ხალხური სიმღერების ჰარმონიული ანალიზის ქრესტომათია. (1967-68). თავი: საკადანსო ფორმები (21 გვ.). (ცნობა კულტურის სამინისტროდან ჩატარებული მოხსენებების შესახებ) (№ 1601)
- ქართული ხალხური სიმღერების (აღმოსავლეთ საქართველო) ჰარმონიული ანალიზის ქრესტომათია. (1966-67). I ნაწილი (№ 1513)
- ლენინის სახე ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში. (1969-70). თან დართული სიმღერებით (7 გვერდი) (№ 1825)
- Грузинские народные трудовые песни «Надури». 1964. Доклад на VII международном конгрессе. Москва
- Форма коллективного труда «Нади» и грузинская четырехголосная песня «Надури». 1963. Доклад на конгрессе этнографов в Будапеште. Будапешт. 1965 (стр. 459-467).



### ოსური ხალხური მუსიკა

ის ფაქტი, რომ ხალხური მუსიკა ყოველთვის იზიდავდა კომპოზიტორთა ფურადებას, საყოველთაოდაა ცნობილი. საკმარისია, გავიხსენოთ რიმსკი-კორსაკოვი, რომლის შემოქმედებაც მხოლოდ ხალხური თემებითაა ნასაზრდოები. პ. ჩაიკოვსკიმ კი თავისი გენიალური მეოთხე სომფონია ააგო რუსული ხალხური სიმღერის „Во поле берёзенка стояла“ თემაზე.

თუმცა, საეჭვოა, რომ ჯერჯერობით იმის მეათასედი იყოს გამოყენებული, რაც ინახება ხალხის წიაღში. მხედველობაში გაძქს აქმდე უცნობი ოსური ხალხური სიმღერები.

დღემდე მე ჩაწერილი მაქს 200-ზე მეტი სამხრეთ ოსური სიმღერა და ცეკვა, მაგრამ ეს მეასედიც არაა იმისა, რაც ამ კუთხეში არსებობს. აი, სად არის ამოუწურავი მარაგი მუსიკალური თემებისა სიუიტებისა და ოპერების, სიმფონიებისა და კვარტეტებისათვის!

პირველი, რაც ოვალშისაცემია ამ სიმღერების ჩაწერისას, არის მათი ორხმიანობა. ოსები კვინტებში მდერიან. როგორც წესი, ერთი დამწყებია, დანარჩენები კი, რამდენიც არ უნდა იყოს ისინი – ორი, ოცი თუ ორასი (მაგ. ქორწილებში), აგინტაში მიჰყებიან მას. ქვედა ხმას ოსები „ფარსაგს“ უწოდებენ.

სიმღერას დამწყები ძალიან მაღლა იწყებს (ტენორის ზღვრულ ბგერაზე კვარტით ან კვინტით მაღლა). ამის შემდეგ მელოდია და შესაბამისად „ფარსაგიც“ ნელ-ნელა ჩამოდიან დაბლა და სიმღერა მთავრდება დაახლოებით ოქტავით დაბლა პირველ ტონთან შედარებით.

როგორც ვხედავთ, პარმონიის თვალსაზრისით, თავისი ორხმიანობის გამო, ოსური სიმღერა არ გამოირჩევა დიდი დირსებებით. ამ მხრივ ის, რასაკვირველია, ვერ შეეძრება ქართულ ხალხურ სიმღერებს...

სიმღერები „ასლანტ-ბეგი“, „ლარსაკ კუდაინად“, „თევიმზუ“, „ფაზატ“, „ძამბულად“, „სოსლან-ზაგარ“ და მრავალი სხვა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მზა მასალაა (გადამუშავების გარეშეც კი) სერიოზული არიებისა თუ ინტერმეციებისათვის.

სიმღერა „ძამბულად“ მე თვითონ სრულად და გადამუშავების გარეშე შემოვიტანე ინტერმეცის სახით ოსურ ოპერა „ზამირაში“ (რომელზეც ამჟამად ვმუშაობ), მოვისიბლე რა ამ სიმღერის სიღრმითა და იშვიათი სილამაზით.

ოსური სიმღერის სიღრმე იმდენად დიდია, რომ გაწაფულ ყურსაც კი გაუჭირდება ერთი მოსმენით ამის აღქმა.

ოსური მუსიკა ამოუწურავია თავისი „ცაგდ“-ებით. ასე უწოდებენ ოსები ცეკვას. ამ „ცაგდებს“ აქვთ ან ყაბარდოულის ან ლეკური ცეკვის ხასიათი. პირველი (ყაბარდოული) მდორე, ზომიერია, მეორე კი (ლეკური) – სწრაფი და მკვირცხლი.

თუმცა „ცაგდ“-ები მუსიკალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანწილად ჩამოუვარდება „ზარაგ“-ებს, რომლებიც მელოდიური სიღრმითა და მახვილი მოდულაციებითაა გაჯერებული.

„ცაგდ“-ები მხიარული, მოძრავი ცეკვებია, თუმცა პარმონია საკმაოდ პრიმიტიული აქტს – ტონიკა-სობდომინანტა-დომინანტის მონაცვლეობით შემოიფარგლება.

დაბოლოს, ოსური მუსიკა, ისევე, როგორც ქართული, ერთხელ და სამუდამოდ ემიჯნება საყოველთაოდ „განთქმულ“ ნახევარტონებს, ესოდენ დამახასიათებელს ორიენტალიზმისათვის, რომელსაც ასე ენერგიულად ახვევენ თავს უცხოელი კომპოზიტორები კავკასიას.

ოსური მუსიკა უფრო ეკროპული სტილისაა. სწორედ აქ იმალება გარკვეული საფრთხე იმისა, რომ ოსურმა ხალხურმა სიმღერებმა გადამუშავების შედეგად დაკარგოს ეროვნული იერსახე. ამისათვის საჭიროა კომპოზიტორების მხრიდან განსაკუთრებული სიფრთხილე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპული ფორმებისა და დამუშავების მეთოდების გამოყენების შედეგად ოსური ხალხური მუსიკა ტიპურ ეკროპულ მუსიკას დაემსგავსება, რაც მეტად არასასურველია.

ოსური მუსიკალური ფოლკლორი უახლოეს მომავალში უდაოდ დაიკავებს კუთხილ ადგილს მსოფლიოს ხალხთა მუსიკალურ შემოქმედებაში. გადა ამისა, იგი გახ-

დება უშრები წყარო, საიდანაც დიდი მუსიკოსები აიღებენ თემებს ოპერებისთვის, სიმღერიებისთვის და ა.შ.

1926

ხულ ცოტა ხნის წინ ფოკლორის ეროვნულმა ცენტრმა გამოხვატო თეური ხალხური სიმღერების აუდიო CD და სანოტო კრებული, რომელშიც თავმოყრილია უნიკალური ხაარქივი მასალა (61 ნიმუში): თითქმის ერთი საუკუნის წინ ფიქსირებული თეური სიმღერების იშვიათი ვარიანტები, რომელთა უმრავლესობა დღეს არც ყოფაში სრულდება და არც ხცენაზე. იხ. კებ-გერდი [www.folk.ge](http://www.folk.ge)

## ძელი პრესის ფურცლებზე

### ჩეხი მუსიკოსი საქართველოში

იმ მუსიკოსთა შორის, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის განვითარებაში, გამოირჩევა ჩეხი მომდერალი და ქორმაისტერი იოზეფ რატილი. სიცოცხლის ბოლო 32 წელი მან საქართველოში გაატარა და ქართული ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციას მიუძღვნა.

რატილი დაიბადა 1840 წლის მარტში ჩეხურ სოფელ პარდუბიციში (ბოჰემია) უბრალო გლეხის ოჯახში. პრაღის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მასწავლებლად მშობლიურ სოფელში.



იოზეფ რატილის მეგობრებს უურადებოდ არ დარჩენიათ მისი ვოკალური მონაცემები, თუმცა, მორცხვ სოფლის მასწავლებელს აზრად არ მოხდიოდა მომდერლის სპირილობაზე ფიქრი.

სოფელში რვა წლის მუშაობის შემდეგ, ი. რატილმა მეგობრებისა და სპირილისტების რჩევით ჩააბარა პრაღის კონსერვატორიაში. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ იგი რამდენიმე წელი მდერლი პრაღის, ტბელიცისა და სხვა ქალაქების საოპერო თეატრებში.

1878 წელს ი. რატილი მიიწვიეს პელსინგურსის საოპერო თეატრში, შემდეგ კი გასტროლებით მოიარა რუსეთის სხვადასხვა ქალაქები. 1880 წელს იგი რუსულ დასთან ერთად ჩამოვიდა თბილისში, სადაც ხუთი წლის მანძილზე იყო საოპერო თეატრის სოლისტი. 1886 წლიდან რატილმა სცენა დატოვა და პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა.

ი. რატილი გაიტაცა ქართული ხალხური სიმღერების სილამაზე და თვითმყოფადობამ.

მან დაიწყო ხალხური მუსიკის ჩაწერა და შესწავლა, რამაც დაახლოვა ქართული პოეზიის კორიფეებთან – ილია ჭავჭავაძესთან და აბაკი წარეთელთან, უდიდეს ქართველ პედაგოგთან იაკობ გოგებაშვილთან, ცნობილ პეტლიცისტთან სერგო მესხთან, ქართული მუსიკის გამოჩენილ მოღვაწეებთან – ხ. სავანელთან, ფ. ქორიძესთან, მ. ბალანჩივაძესთან, ი. კარგარეთელთან, ხ. ჩხიკვაძესთან და სხვ.

მათთან მეგობრობამ რატილს კიდევ უფრო გაუდვივა ქართული მუსიკალური ფოლკლორისადმი ინტერესი. მან მთელი თავისი შესაძლებლობები, ცოდნა და გამოცდილება მიუძღვნა ქართული ხალხური სიმღერის გუნდს. ეს გუნდი 1885 წელს ჩამოაყალიბა ქართველმა მუსიკალურმა ეთნოგრაფმა და საზოგადო მოღვაწემ ლ. აღნიაშვილმა. ი. რატილმა მოკლე ხანში მოახერხა მაღალმხატვრული საგუნდო კოლექტივის შექმნა, რომელმაც მალე ფართო პოპულარობა მოიპოვა.

ამ გუნდის პირველი გამოსვლა 1886 წლის 15 ნოემბერს შედგა. საზოგადოება მოუთმენლად ელოდა ამ კონცერტს. როგორც გაზეთები იუწყებოდნენ, ი. რატილი გუნდთან წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდა და კარგად შეისწავლა შესასრულებლად საკმაოდ რთული ქართული სიმღერები („გუჩხა ბედინერი“, „გურული ოდეგლია“, „წაიყვანეს თამარ ქალი“ და სხვ.) პირველმა კონცერტმა დიდი პეტლიცია მიიზიდა და პრესის აღფრთვანებული გამოხმაურება მოიპოვა. გაზეთმა ”ივერიამ“ მას რამდენიმე სტატია მიუძღვნა.

კონცერტის წარმატებამ გაათამამა რატილი. მან მნიშვნელოვანად გააფართოვა გუნდის რეპერტუარი და მისი მოღვაწეობის ჩარჩოები: ქართული სიმღერის კონცერტები ეწყობოდა არამარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. 1890 წელს ქართულმა გუნდმა კონცერტები ჩაატარა პიატიგორსკა და ესენტუპში.

ცნობილია, რომ ერთ ასეთ კონცერტს ქ. არმავირში ესწრებოდა დ. არაყიშვილი, შემდგომში ცნობილი ქართველი კომპოზიტორი. სწორედ ი. რატილის გუნდის შესრულებიდან მიღებულმა შთაბეჭდილებებმა გადასწვებინა დ. არაყიშვილს მუსიკალური მოღვაწეობის დაწყება.

ი. რატილის გუნდში მდერლი ახალგაზრდა მმები ფალიაშვილები – ივანე და ზაქარია (ერთ-ერთი მათგანი სოლო პარტიებსაც მდერლი). გუნდში სიმღერამ უდაოდ ნაყოფიერი ზეგავლენა მოახდინა მმებზე, განსაკუთრებით ზაქარიაზე, რომელმაც მოელი თავისი ცხოვრება ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების შესწავლასა და შემოქმედებით გადამუშავებას მიუძღვნა.

იმ დროის ერთ-ერთ გაზეთში შემონახულია ი. რატილის გუნდის კონცერტის აღწერა: „აიწია ფარდა და ჩვენ დავინახეთ 10-12 წარმოსადეგი, ზომიერად თავშეკავებული ახალგაზრდა ეროვნულ სამოსში, ქულაჯებში, რომელთა წინ იდგა ფრაგმი გამოწყობილი ი. რატილი – სასიამოვნო გარეგნობის, საშუალო სიმაღლის ხანში შესული ადამიანი სათვალით. გუნდი ასრულებდა სიმდერებს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან – ქართლურს, კახურს, იმერულს, მეგრულს, გურულს და რამდენიმე ევროპულ სიმდერასაც“.

ზოგჯერ, სიმღერების შესრულების შემდეგ ხდებოდა „ცოცხალი სურათების“ დემონსტრირება მუსიკალური თანხლებით. გამოდიოდა სიმფონიური ორკესტრი, რომელიც ასრულებდა მ. ბალანჩივაძის „ქართულ პოპურს“.

ი. რატილი თვითონაც ასრულებდა სოლო სიმღერებს; ერთ-ერთ რეცენზიაში კითხულობთ: „საოცარია, რომ ი. რატილმა თავის თავზე აიღო ასეთი რთული საქმე და წარმატებით აითვისა კოლორიტი და ნიუანსები. სიმღერა „ორთავ თვალის სინათლეები“ მან ისეთი ოსტატობით იმღერა, რომ აპლოდისმენტებისაგან მთელი თეატრი ზანზარებდა“ („ივერია“, 1890. №179).

თავდაპირველად ქართული გუნდის შემადგენლობაში შედიოდა რამდენიმე მამაკაცი. მოგვიანებით კოლექტივი შეიგხვ ქალთა ვოკალური ანსამბლით, რომელიც ასევე მონაწილეობდა კონცერტებში.

გარდა ქართული ხალხური სიმღერებისა, ი. რატილმა გუნდს შეასწავლა მშობლიური ჩეხური ფოლკლორის რამდენიმე ნიმუშიც. მათ შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა ოთხი ჩეხური სიმღერა – „აღსდექ, გმირთა-გმირო“, „ჩეხეჩუხით ჩამორბოდა“, „ლაჟვარდ ცაზე“ და „მიდის გემი“. ამ სიმღერებმა მსმენელის დიდი სიმპათია დაიმსახურა და მაღე დამკვიდრდა ყოფაში. განსაკუთრებული პოპულარობით ისინი ახალგაზრდულ წრეებში სარგებლობდა. მუსიკის მოყვარულებმა ეს სიმღერები ქართული ტქესტებით მშობლიურად აღიქვა. ისინი ამჟამადაც ხშირად ისმის ქართული ხალხური სიმღერის კონცერტებზე.

იოზევ რატილი, ასევე ცნობილია, როგორც ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების შემგროვებელი და უზადო შემსრულებელი. მის მიერ ჩაწერილი მუსიკალური მასალა (ინახება ზ. ჩხიგვაძის არქივში) მოიცავს ხალხური სიმღერის 30-ზე მეტ ნოტებს. კველა მათგანი, რომელიც რატილმა სახალხო მომღერლებისა და თავისი გუნდის მონაწილეებისაგან ჩაიწერა, არაერთხელ შესრულდა კონცერტებზე. განსაკუთრებული

წარმატებით სარგებლობდა რატილის მიერ გადამუშავებული სიმღერები: „ოს იძრა“, „მაღლა მთას მოდგა“, „ქალსა ვისმე“, „მიუვარს ამფერად სუფრა გაშლილი“, „ქვედრულა“, „ავთანდილ გადინადირა“, „მზეო ამოდი“, „ხელხვავი“, „დღეს მერცხალი შემოვრანდა“, „გუთნური“, „ალილო“ და სხვ. ეს სიმღერები დღესაც პოპულარულია.

მუშაობის პირველ წლებში ი. რატილმა გუნდთან ერთად შეისწავლა 100-ზე მეტი სიმღერა, რაც მის დაუცხრომელ ენერგიაზე მეტველებს. თუმცა, ამ სიმღერებიდან მხოლოდ ერთის გამოცემა მოხერხდა. ესაა საშობაო სიმღერა „ალილო“, რომლის ყდაზე აწერია: „I რევული“. ეს იმას ნიშნავს, რომ რატილი გეგმავდა სიმღერების სერიის გამოცემას, თუმცა ვერ განახორციელა ეს ჩანაფიქრი.

იოზევ რატილი გარდაიცვალა ტფილისში 1912 წელს.

ქართულმა გუნდმა ი. რატილის ხელმძღვანელობით აღადგინა მრავალი ძვირფასი, თითქმის დავიწყებული სიმღერა. რატილის თანამედროვენი ყველანირად ეხმარებოდნენ კოლექტივს, მონაწილეობდნენ საგუნდო დამუშავებებისა და სანოტო ჩანაწერების შექმნაში. ზოგიერთი ამ ჩანაწერებიდან გამოქვეყნდა საიმღერო კრებულებში XIX საუკუნის ბოლოს.

რატილის გუნდის კონცერტებმა პროგრესულად მოაზროვნე ქართველებს ქართული მუსიკალური საზოგადოების ორგანიზების იდეა გაუჩინა. ხალხური სიმღერების შესანიშნავმა შესრულებამ მათ დაანახა ეროვნული ოპერის შექმნის შესაძლებლობა. „წერილში მეგობრისადმი“, რომელიც გაზეო „ივერიაში“ გამოქვეყნდა, კითხულობთ (1890 წლის 21 აგვისტო):

„ისევე, როგორც გიორგი ერისთავი გვევლინება ქართული თეატრის ფუძემდებლად, ვინ იცის, იქნებ ი. რატილი იქცეს ქართული ოპერის ფუძემდებლად... ამ კონცერტზე მე ვიგრძენი ქართული ოპერა. რა აზრები არ მომდიოდა თავში და რა ოცნებებით არ იყო ისინი გამსჭვალული, როცა მე კუსმენდი რატილის გუნდს. ალბათ, მოვალო, როცა შეიქმნება ქართული ოპერა ჩვენი ისტორიული მატიანების მიხედვით და რატილის მემკვიდრეები – მომღერლები გვიმდერებენ რაიმეს თამარ მეფის ცხოვრებიდან ან გიორგი სააკაძის გმირობის შესახებ...“

შემონახულია თვით რატილის შესანიშნავი შეფასება ქართული ხალხური მუსიკისა: „მხოლოდ ის ერი გვევლინება ერად, მხოლოდ ის ხალხია ხალხი, რომელიც შეინარჩუნებს თავის ენას, მელოდიას (მუსიკას – რედ.) და თვითმყოფადობას. შეუფასებელ განძს წარმო-

ადგენს ადამიანისათვის მშობლიური ენა, მშობლიური საგალობლები. შეუძლებელია კვდომა ან გადაგვარება ხალხისა, რომელიც ფლობს მდიდარ ენას, მელოდიებსა და სიმღერებს. საქართველოს ყველა კუთხეში იმდენად მრავალფეროვანი მელოდიები (ხალხური სიმღერები – რედ.) და საგალობლებია შემორჩენილი, რომ მე მიჭირს დავასახელო სხვა რომელიმე ქვეყანა, რომელიც მას შეედრება ამ მხრივ. განსაკუთრებით მდიდარია საქართველო საგუნდო სიმღერებით, რომელთა შორისაა ევროპული სმენის მომწუსეველი ნამდვილი სიმჟონები“.

ასე შეაფასა ქართული ხალხური მუსიკა ნიჭიერმა ჩეხმა მუსიკოსმა, რომლისთვისაც საქართველო იქცა მეორე სამშობლოდ. თავისი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი ხანა მან მიუძღვნა ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებას.

### გრიგოლ ჩხილაძე („სოჯეტსერია მუზიკა“, 1955, №8)

## ერთი სიმღერის ისტორია

### „ლილე“

სვანური სიმღერის ხსენებისას ქართული მუსიკის ყველა მოყვარულსა და დამფასებელს ალბათ პირველად სწორედ სიმღერა ლილე გაახსენდება. ქართულ ცნობიერებაში ლილე გამორჩეულ ადგილზე ქართველი პოეტის მიერ მისი ხშირი მოხსენიებაც მეტყველებს. თუმცა ამ საყოველთაოდ ცნობილი სიმღერის მიღმა ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ამოუცნობი და ბუნდოვანი საკითხი იმაღება. ხშირად სიმღერას „ლილე“-დ მოიხსენიებენ, რაც არ არის მართებული. სწორია „ლილე“, ბოლო „ო“ მიმართვის გამომხატველია. საინტერესოა ისიც, რომ ამ სიმღერის პირველი ჩანაწერი (ვგულისხმობ სიტყვიერ ტექტს) „ლილა“-ს სახელითაა დაფიქსირებული.

ზოგიერთი ცნობით, ლილე პირდაპირი მნიშვნელობით გათენებას, მზის ამოსვლას – სინათლეს ნიშნავს. გადატანითი მნიშვნელობით საკაცობრიო იმედს, სიცოცხლის მთავარ არსეს – მზეს, რომელსაც შეუძლია სიკეთე მოუტანოს ქვეყნიერებას. უცნაურია, მაგრამ სახელი ლილე//ლილა მხოლოდ სიმღერაში გვხვდება, სვანურ მეტყველებაში კი – არა.

ლილეს ქართული თარგმანი ასეთია

„ჰო და ლილე და

დიდება მთავარანგელოზებს!

ვო და ლილე, ჰო!

შენი დიდებითაა საგსე, ოქროს ზღუდე გარტყია,

შესაწირავი შენი ხარები მაჩხვარის ქედზე ბუღრაობენ;

მოედანი გადათხრილია, ხარების ნაბუღრავები;

შესაწირავი შენი ვაცები ქედიდან ქედზე დააბოტებენ.

შესაწირავ შენს ვერძებს დაგრეხილი რქები ედგათ;

გარეთ შენი იალაღები არჩვითა და შენითაა საგსე;

მოედანი გადაგიტყვავებია შესაწირების დაკვლით.“

ლილეს ფესვები შორეულ წარსულში იკარგება. ზოგის აზრით, ლილე „პიმნია უმაღლეს დვთაებაზე“, ზოგი სიმღერას მთვარეს უკავშირებს, ხოლო ყველაზე უფრო პოპულარული და გავრცელებული შეხედულების თანახმად, ლილე მზის სადიდებელი პიმნად მიიჩნევა. რაც შეეხება მთავარანგელოზების მოტივს, ის ტექსტში ქრისტიანულ ხანაში უნდა დამკვიდრებულიყო.

ამგვარად, ლილებს ტექსტი ჩვენამდე არ მოღწეულა უცვლელი სახით, მასში შექსვილია სხვა დარგობრივ დვთაებათა საგალობლებიდან მომდინარე ფრაზები.

ლილებს ტექსტში მოხსენებულია ოქროს თასები, ოქროსრქიანი ხარები და ვერძები. ოქრო ამ შემთხვევაში მზის სიმბოლურ გამოვლინებად აღიქმება და, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ეს განაპირობებს ლილებს მზისადმი აღვლენილ პიმნად მოხსენიებას. სიმღერაში კი მზე საერთოდ არ იხსენიება. ტექსტში მოხსენებულ ცხოველებს ოქროს რქები იმიტომ აჯგო, რომ ისინი დვთაებრივი, წმინდა ცხოველები და საკრალური აქტის მონაწილენი არიან. ოქრო იმქვეყნიურ ბინადართათვის დამახასიათებელი სიმბოლიკაა და არა მხოლოდ მზისა. ზოგადად კი აქ მოცემულია ტიპური კოსმიური მითური სურათი, ფრიად გავრცელებული სხვადასხვა ვერსიით ქართულ ფოლკლორში: კოსმიური სვეტი (//კოშკი), რომლის ძირში ვეშა წყარო (//მდინარე) ამოდის, ხის თავში შევარდენი (//ქორი) ზის (//ფრენს), მის ძირში კი ოქროსრქიანი ჯიხვები (სხვა ვერსიით – ირმები) წვანან.

ქართულ მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ სიმღერა ლილებს მთვარის თაყვანისცემის გადმონაშთია და არა მზის. ილია გაგულაშვილის აზრით, ლილები გადმოცემული ოქროსრქიანი ველური ხარების ბუდრაობა დიდი დმერთის სახელზე გამართული საწესო დღეობის ამსახველი მოტივია და ეს ერთ-ერთი საბუთია, რომ ლილე „ხოშა დერმეთის“ – უზენაესი დმერთის სახელზე იმღერებოდა. საგულისხმოა ტექსტის შემდეგი ფრაგმენტი: „დიდება ძლიერებას შენსას! შენს დიდებას არა გვირჩევნია რა“. ასეთ უმაღლეს დვთაებად კი უმველეს პერიოდში მთვარე იყო აღიარებული. ქართულ წარმართულ პანთეონში ცნობილი დიდი დმერთი მთვარის კულტის ბაზაზე მოგვიანებით განვითარებული სახეა და არსებითად ლუნარულ დვთაებათა ერთ-ერთ ვერსიას წარმოადგენს. ამას გარდა, გამოთქმა „მისი მოჭედილი აბჯარი“ ან „მოჭედილი მისი თოვები“ მამრული საწყისი მქონედ წარმოგვიდგენს მიმართვის ობიექტს. ასეთად კი დვთაებრივი მეუფე, მთვარეა ცნობილი. მზეს ქართულ მითოსში მდედრული საწყისი აქვს. ეს გარემოება კი თავისთავად ნიადაგს აცლის ლილებს მიმართვის ობიექტად მზის აღიარებას. ლილე დვთაების სახელი ან ერთ-ერთი ეპითეტი იყო, რომლის შინაარსი დაკარგული ჩანს.

ვერბალური ტექსტის შინაარსის, მუსიკალური ენის კანონზომიერებისა და შესრულების ფორმის გათვალისწინებით, სიმღერა

ლილებს ძნელია ერთ რომელიმე ეპოქას მიაკუთვნო. მისი ყველაზე ცნობილი ვარიანტი სვანურ საკულტო სიმღერათა იმ რიგს განეკუთვნება, რომელსაც თავად სვანები საგალობლებად მოიხსენიებენ. მაგრამ თუკი ძველ ფონო და სანოტო ჩანაწერებს გადავხედავთ, აღმოვჩენთ, რომ ლილებს ვარიანტების უმეტმსობა საფერხულო წყობისაა. საფერხულო ლილები მუსიკალური და საცეკვაო ფრაზა ერთმანეთს არ ემთხვევა. აღმოჩნდა, რომ საფერხულო ლილებს ჰანგი და აგებულება საოცრად ჰგავს სვანურ სიმღერას დიდება თარიხზ ზელარს. ტრადიციული ქართული ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ეს საფერხულოები ერთ „ხმაზეა“ გაწყობილი. ამას გარდა, სიმღერების ტექსტიც ერთმანეთის მსგავსია. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ დიდებათა უმველესი წარმოშობის სიმღერაა და მასში წარმართული ტექსტი ქრისტიანულითაა ჩანაცვლებული.

ამგვარად, ლილებს საფერხულო წყობა და არქაული ჟღერადობა მის სიძველეს ცხადყოფს, ვერბალური ტექსტის „სიჭრელებს“ კი სხვადასხვა ეპოქის შესაძლო დანაშრევები განაპირობებს, რის გამოც მეცნიერები ლილებს სხვადასხვა პულტსა და დვთაებას უკავშირებენ.

## თთარ კაპანაძე

ლილի

$\text{♩} = 81$

I გუნდი

The musical score consists of four systems of music for three voices (Soprano, Alto, Bass) and piano. The vocal parts are in 3/4 time, while the piano part is in common time. The vocal parts sing in a three-part homophony. The piano part provides harmonic support and includes melodic entries. The lyrics are written below the vocal parts.

II გუნდი

The musical score consists of four systems of music for three voices (Soprano, Alto, Bass) and piano. The vocal parts are in 3/4 time, while the piano part is in common time. The vocal parts sing in a three-part homophony. The piano part provides harmonic support and includes melodic entries. The lyrics are written below the vocal parts.

I გუნდი

The musical score consists of four systems of music for three voices (Soprano, Alto, Bass) and piano. The vocal parts are in 3/4 time, while the piano part is in common time. The vocal parts sing in a three-part homophony. The piano part provides harmonic support and includes melodic entries. The lyrics are written below the vocal parts.

II გუნდი

The musical score consists of four systems of music for three voices (Soprano, Alto, Bass) and piano. The vocal parts are in 3/4 time, while the piano part is in common time. The vocal parts sing in a three-part homophony. The piano part provides harmonic support and includes melodic entries. The lyrics are written below the vocal parts.

III გუნდი

The musical score consists of four systems of music for three voices (Soprano, Alto, Bass) and piano. The vocal parts are in 3/4 time, while the piano part is in common time. The vocal parts sing in a three-part homophony. The piano part provides harmonic support and includes melodic entries. The lyrics are written below the vocal parts.

II გუნდი

III გუნდი

II გუნდი

I გუნდი

---

**ბიულეტინის შემდეგი ნომერი გამოვა 2011 წლის დეკემბერში**